ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

3Ф[Ф4Б ЛФЖ,Ф4+

F B Y I F B Y B

* КФЗБ

@*ЗФЗБЛФЪ




[esif,fsb7 @( vfhnb7 @)!@

175 (5765)

afcb5 #) stshb

# თეა თუთბერიძე დიმიტრი შაშკინის წინააღმდეგ

გვ.2

## განათლების სამინისტროში კორუფციაა“



## გიორგი გუგავა: ჩვენ ოლიგარქები გვებრძვიან

გვ.5



გვ.4



## ბათუმში ტურისტებისთვის შადრევნიდან ჭაჭა ამოიფრქვევა

## რეიტინგების ომი

### სოციოლოგიური კვლევები რეალობას არ ასახავს

გვ.3





გვ.3



## სახალხო დამცველს ყველაზე მეტი პრეტენზიები კალმახელიძესთან და მერაბიშვილთან აქვს

გვ.7

## გელა ნიკოლაიშვილი: გიგა ბოკერია სააკაშვილის თამაშს თამაშობს





გვ.5

## რაზე ესაუბრა ბაქრაძე იერუსალიმის პატრიარქს



## 60-დან 65 წლამდე მამაკაცებს სახელმწიფო არ უმკურნალებს

გვ.7

რატომ არ უნდა მიიღონ დეპუტატებმა ახალი საპენსიო კანონი



## ოპოზიციას მერაბიშვილთან 10 კითხვა აქვს

გვ.4

ISSN 1987-9385

9 771987 938006

**2** რუსეთი საქართველო-ამერიკის სამხედრო ურთიერთობებით უკმაყოფილოა

**6** ვინ გააკონტროლებს ფსოუზე და როკის გვირაბთან ტვირთებს

**4** აკაკი მინაშვილი: ივანიშვილს ქართული კანონმდებლობა უპირატესობას ვერ მიანიჭებს

**6** მთავარი უცხო ენა ინგლისური გახდა

# თეა თუთბერიძე დიმიტრი შაშკინის წინააღმდეგ

## „განათლების სამინისტროში კორუფციაა“

შორენა გონგლაძე

### ინტერვიუ თეა თუთბერიძესთან



***– თეა, მოდით, პირველ რიგში ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება შევაფასოთ, რა ცვლილებებს ხედავ ამ კუთხით?***

– პოლიტიკურად ქვეყანაში არაფერი არ შეცვლილა გარდა იმისა, რომ ერთი ფულიანი, როგორიც იყო ბადრი პატარკაციშვილი, ჩაანაცვლა მეორემ, რომელსაც მიეკედლნენ ე.წ. ოპოზიციის წარმომადგენლები. როგორც წესი, ეს ე. წ. ოპოზიცია სადაც ფულს ხედავს, იქით გარბის. სხვა ისეთი მნიშვნელოვანი არაფერი ხდება.

***– თავისუფლების ინსტიტუტი ყოველთვის აქტიურობით გამოირჩეოდა, ძალიან პასიურობს, გააქტიურებას როდის აპირებთ, თუ გაქვთ უახლოესი გეგმები და პროექტები?***

– თავისუფლების ინსტიტუტი ძირითადად საგანმანათლებლო კუთხით მუშაობს. დღეს რასაც ვაკეთებთ, ვთვლი, რომ ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება თავად პოლიტიკას, ჩვენ არ ვაპირებთ შიდა პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას, ვთვლით, რომ ეს არ არის არასამთავრობო ორგანიზაციის საკითხი, თუმცა, ჩვენ ნამდვილად არ დავრჩებით გულგრილი ისეთი საკითხების მიმართ, რაც შეიძლება გახდეს არასამთავრობო სექტორის პროტესტის საგანი.

***– განათლების სისტემაში რა ხდება, რამდენად წარმატებული აღმოჩნდა განათლების რეფორმა?***

– განათლების რეფორმა პრაქტიკულად შეჩერებულია და რასაც საზოგადოება ხედავს, ეს მხოლოდ და მხოლოდ ზედაპირული, პიარის დონეზე ნაკეთები საქმეა, რასაც ვერანაირი შედეგი ვერ მოჰყვება გრძელვადიან პერსპექტივაში. ამიტომ არც მაქვს იმედი, რომ რაიმე არსებითი ცვლილებები მოხდეს, იმიტომ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ძირითადად რადიკალური ნაბიჯების გადადგმას ხელისუფლება ყოველთვის ერიდება. საერთოდ, ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერი სახის რეფორმა მტკივნეულია იმიტომ, რომ ამ დროს ხდება გარკვეული სისტემების შეცვლა, რომელიც შედგება კონკრეტული ადამიანებისგან, ზოგს სამართლიანად, ზოგსაც უსამართლოდ ეხება ეს ყველაფერი. როდესაც რეფორმა დაიწყო, ეს პროცესი საკმაოდ მტკივნეულად იქნა აღქმული და ვფიქრობ, რომ გარკვეული პრობლემებიც გამოიწვია. მაგრამ შემდეგ უკვე ჩვენ დავინახეთ ქუჩაში გამოსული ხალხი 2007 წელს, შემდეგ იყო ვადამდელი არჩევნები და იმის ნაცვლად, რომ სხვა რამეში დაენახათ პრობლემის არსი, ჩათვალეს, რომ უფრო უპრიანი იქნებოდა სხვა ნაბიჯები. შემდეგ მოხდა ის, რომ განათლების რეფორმამ მიიღო ფორმალური სახე და მთელი ეს დაწყებული პროცესები ბუტაფორიად დარჩა.

***– მახსოვს, თქვით, განათლების სისტემაში იმდენად სერიოზული დარღვევებია, რომ ხშირ შემთხვევაში სისხლის სამართლის დანაშაულთან გვაქვს საქმე, ასეთი ფაქტები მრავლადაა?***

– ასეთი ფაქტები ნამდვილად იყო. მე პირადად, ორი მინისტრის პერიოდში მივმართე პროკურატურას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში სანამ დანაშაული ხელისუფლებას არ შეეხება, მანამდე პოლიტიკური თანამდებობის პირების პასუხისგებაში მიცემა არ ხდება.

***– რომელი მინისტრების დროს მიმართე პროკურატურას და კონკრეტულად ვის ეხებოდა?***

– ერთი იყო კანონდარღვევით გათავისუფლებულ დირექტორთან დაკავშირებით ნიკა გვარამიას დროს და მეორე შაშკინის დროს, რომელიც ასევე სკოლის დირექტორს ეხებოდა და კიდევ სხვა ეჭვებიც არსებობს განათლების სამინისტროში კორუფციასთან დაკავშირებით. მე როდესაც მოვითხოვე კონკრეტულად შემესწავლა კონკრეტული დოკუმენტაცია შესყიდვებიდან დაწყებული ტენდერებით დამთავრებული, ეს დღემდე ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა პირადად ჩემთვის. ამბობდნენ, რომ პროკურატურა და კონტროლის პალატა იყო შესული და ისინი სწავლობდნენ, როდესაც კონტროლის პალატას მივმართეთ მათ მითხრეს, რომ მათ არანაირი მასალა არ ჰქონდათ. პრაქტიკულად შეუღწეველი აღმოჩნდა განათლების სამინისტრო, მით უმეტეს, როდესაც კანონით მათ არ ჰქონდათ უფლება მასალების დახურვა მოეხდინათ. ამან კიდევ უფრო მეტი ეჭვი გააჩინა განათლების სამინისტროსთან მიმართებაში.

***– ანუ თქვენ გაქვთ საფუძვლიანი ეჭვი, რომ განათლების სამინისტროში კორუფციაა?***

– ეს არის ერთ-ერთი პრობლემა, რაზეც შეიძლება ვისაუბროთ. ჩემთვის ყველაზე სერიოზული პრობლემაა ის, რომ რეფორმა პრაქტიკულად შეჩერდა. ვითომ რაღაც კეთდება, მაგალითად, ე. წ. მანდატურის სამსახური, რაც ნამდვილად არ ვთვლი, რომ ამ ფორმით უნდა ყოფილიყო შემოღებული. უსაფრთხო სკოლა და უსაფრთხო გარემო ყველა ადამიანის ინტერესში შედის, ყველა ადამიანს სურს, რომ მისი შვილი უსაფრთხო გარემოში სწავლობდეს, მაგრამ რეალურად, როგორც მანდატურების სისტემა იქნა გადმოტანილი, ეს არის დამახინჯებული ფორმა. ჩათვალეს, რომ მანდატურებს ვერავინ ვერ შეარჩევდა სამინისტროს მაღალჩინოსნების გარდა, ჩათვალეს, რომ მათ მოსამზადებლად ერთთვიანი ტრენინგები იყო საკმარისი. ვფიქრობ, რომ უფრო მეტი განათლებაა საჭირო, რათა მათ შეძლონ მოზარდებთან მუშაობა. მანდატურები კი არა სკოლის დირექტორები უშვებენ სერიოზულ შეცდომებს და ჩვენ ასეთი არაერთი მაგალითი ვნახეთ.

***– თავისუფლების ინსტიტუტს საკმაოდ მყარი ბერკეტები ჰქონდა იმისთვის, რომ ხელისუფლებასთან პრობლემები არ შექმნოდა და მისთვის უბრალო ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელი არ გამხდარიყო.***

– ეს თქვენი მოსაზრებაა. მე ერთი შემიძლია გითხრათ, რომ შესაძლოა ხელისუფლებას მიაჩნდეს რაღაც სწორად და რაღაც არასწორად და პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე არ დგამდეს კონკრეტულ ნაბიჯებს. ამიტომაცაა, რომ არის კრიტიკა ხელისუფლების გარკვეული ნაბიჯების მიმართ. ჩვენ წინა ხელისუფლების დროსაც ვცდილობდით დავხმარებოდით ხელისუფლებას რეფორმების გატარებაში და დღესაც ამას ვაკეთებთ. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ როდესაც არასწორი ნაბიჯების გადადგმა ხდება, ამას არ გავაკრიტიკებთ.

## პარტია ქართული ოცნება“ აპრილში დაფუძნდება



კოალიცია „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ პარტიას აპრილში დააფუძნებს. ამის შესახებ კოალიციის საინიციატივო ჯგუფის წევრმა ელისო ჩაფიძემ განაცხადა.

მისი თქმით პარტიის სახელწოდება „ქართული ოცნება“ იქნება.

როგორც ჩაფიძე განმარტავს, ამ ეტაპზე გადაწყვეტილი არ არის პარტიის სახელით რომელი წარმომადგენელი რომელ რაიონში იყრის კენჭს არჩევნებზე, თუმცა, თავად ჩაფიძე ვარაუდობს, რომ იგი ტყიბულის რაიონში იქნება მაჟორიტარობის კანდიდატი.

„ვფიქრობ კენჭი ჩემი მშობლიური რაიონიდან, ტყიბულიდან ვიყარო. ამაზე ადგილობრივების მხრიდან მოთხოვნაც არსებობს“ – განაცხადა ჩაფიძემ.

ნიუსპრესი

## დემოკრატიულმა მოძრაობამ“ და თავისუფალმა საქართველომ“ გრინფისის“ მემორანდუმს მოაწერეს ხელი

პარტიებმა – „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ და „თავისუფალი საქართველო“ „უსაფრთხო ენერგეტიკის განვთარებისა და საქართველოს ტერიტორიაზე გიგანტური კაშხლების მშენებლობის აკრძალვის თაობაზე“ მემორანდუმი გააფორმეს.

„ჩვენ, საქართველოში მოქმედი პოლიტიკური გაერთიანებები ვაცხადებთ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში უარს ვიტყვით გიგანტური ჰესების მშენებლობაზე, ასევე შევეწინააღმდეგებით სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების ყველა მსგავს ინიციატივას“ – ნათქვამია მემორანდუმში.

როგორც „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრმა შალვა ოგბაიძემ განაცხადა, მიმდინარე წელს ქვეყანაში 15 გიგანტური ჰესის მშენებლობა იგეგმება, რაც ეკოლოგიურ კატასტროფას გამოიწვევს.

„თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური მდივნის ალექსანდრე შალამბერიძის განცახდებით, საქართველოსთვის მცირე ჰესებიც საკმარისია.

მემორანდუმი „გრინფისის მხარდამჭერთა ჯგუფმა“ შეიმუშავა და ის ხელმოსაწერად ყველა პოლიტიკურ პარტიას გადაეგზავნა.

ნიუსპრესი

# რუსეთი საქართველო-ამერიკის სამხედრო ურთიერთობებით უკმაყოფილოა

შორენა გონგლაძე

**რუსეთმა განაცხადა 27 მარტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ნებისმიერი სამხედრო თანამშრომლობა საქართველოსთან რეგიონში არსებულ „მშვიდობას მძიმე შედეგებს“ მოუტანს „სააკაშვილის რეჟიმის არასტაბილურობის და უპასუხისმგებლობის“ გამო. ეს არის რუსეთის მიერ რამდენიმე დღის წინ გაკეთებული განცხადება, რომელსაც სააგენტო „ცივილ.გე“ ავრცელებს.**

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ლუკაშევიჩმა თავდაცვის სფეროში აშშ-საქართველოს თანამშრომლობის შესახებ განცხადება მას შემდეგ წაიკითხა, რაც პრესკონფერენციაზე მას სთხოვეს კომენტარი გაეკეთებინა აშშ-ის გადაწყვეტილებაზე საქართველოსთვის იარაღის 2008 წლიდან შეწყვეტილი მიწოდების განახლების თაობაზე სავარაუდოდ, მინიშნება გაკეთდა საქართველოში აშშ-ის ელჩობის კანდიდატის რიჩარდ ნორლანდის განცხადებაზე, რომელმაც 21 მარტს სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში გამართულ მოსმენაზე განაცხადა, რომ ვაშინგტონმა ემ-4 ჩარბინე-ის ტიპის ავტომატური შაშხანების საქართველოსთვის მიყიდვის თაობაზე თანხმობა გასცა.

„გასულ წელს აშშ-ის საელჩომ მოსკოვში გვაცნობა იმის თაობაზე, რომ ვაშინგტონი ავღანეთში ისაფიის ოპერაციაში მონაწილე ქართული კონტინგენტისთვის მ-4 ჩარბინე-ის ტიპის ავტომატური შაშხანების და ჰამერის ტიპის ჯავშანმანქანების მიწოდებას გეგმავდა. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნოტით გამოხატა შეშფოთება ამერიკული მხარის ქმედებებთან დაკავშირებით“, – განაცხადა ლუკაშევიჩმა.

„როგორც ჩანს, ოფიციალური თბილისის მიერ ისაფ-ის ოპერაციაში მონაწილეობა აღიქმება როგორც გამართლება საქართველოს შემდგომი რემილიტარიზაციისთვის და როგორც კიდევ ერთი საბაბი ქვეყნის ნატოში გაწევრიანებისთვის“, – განაცხადა ლუკაშევიჩმა.

„პრინციპულად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ შეიარაღება, რომელსაც ქართული კონტინგენტი ავღანეთში იყენებს, საქართველოში არ აღმოჩნდეს. როგორც 2008 წლის ტრაგიკულმა მოვლენებმა გვიჩვენეს, სააკაშვილის რეჟიმმა შესაძლოა ის აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ და მათ შორის ამ ქვეყნებში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ გამოიყენოს,“, – განაცხადა მან.



„სააკაშვილის რეჟიმის არასტაბილურობის და უპასუხისმგებლობის გამო, სამხედრო სფეროში თბილისთან ნებისმიერ თანამშრომლობას კავკასიაში არსებული მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის მძიმე შედეგები მოყვება. ამ თვალსაზრისით, კვლავაც ყურადღებით გავადევნებთ თვალყურს თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში ამერიკულ-ქართული თანამშრომლობის კონკრეტულ ფორმებს“, – განაცხადა ლუკაშევიჩმა.

„გარდა ამისა, ჩვენ უკვე მივაპყარით სახელმწიფო დეპარტამენტის ყურადღება საქართველოს პორტებში აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების გემების, მათ შორის აეგის-ის სისტემით აღჭურვილი ხომალდების გახშირებულ ვიზიტებს“, – განაცხადა მან.

„როგორც არ უნდა ხსნიდნენ ამას, ნათელია, რომ ამგვარ ვიზიტებს საქართველოს ხელმძღვანელობა მისი რევანშისტული ამბიციების წახალისებად განიხილავს“, – აღნიშნა ლუკაშევიჩმა.

ბოლოს აშშ-ის სამხედრო ხომალდი საქართველოს 2011 წლის ოქტომბერში სტუმრობდა, როდესაც ამერიკული სამხედრო ფლოტის გემი „ფილიპინსი“ ბათუმის პორტში შევიდა; მანამდე 2011 წლის ივნისში ბათუმის პორტს კიდევ ორი ამერიკული სამხედრო ხომალდი სტუმრობდა.

ალექსანდრე ლუკაშევიჩის განცხადებას რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ეკა ტყეშელაშვილი გამოეხმაურა. მისი განცხადებით, ორ სტრატეგიულ პარტნიორს შორის რა ტიპის თანამშრომლობა ხორციელდება, მასში რუსეთს არაფერი ესაქმება.

– „ახალი ამ განცხადებაში არაფერია, პერმანენტულად რამდენიმეთვის განმავლობაში რუსეთი მუდმივად ცდილობს საკითხი ამ პერსპექტივით წარმოაჩინოს, არადა, საკითხი მარტივია, ორ სტრატეგიულ პარტნიორს შორის მრავალმხრივი ურთიერთობა და თანამშრომლობა ხორციელდება, მათ შორის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის თვალსაზრისითაც. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი თუ თავდაცვისუნარიანობაზე არ ვისაუბრებთ, არამედ მით უფრო ისააფ-ის მისიაში ქართული მხარის მონაწილეობაზე, აქ საერთოდ რუსეთის განცხადება უკვე აბსურდის თეატრს ემსგავსება“, – განაცხადა ტყეშელაშვილმა და დასძინა, რომ რუსეთს – მესამე მხარეს არაფერი ესაქმება, თუ რა ტიპის თანამშრომლობა ხორციელდება ორ სტრატეგიულ პარტნიორს შორის.

– „ამ მხრივ რუსეთმა ჯობს საკუთარ თავს მიხედოს, ვიდრე ის აკომენტაროს, თუ სხვა ქვეყნები ერთმანეთს შორის სუვერენულ ურთიერთობებს როგორ ახორციელებენ“, – განაცხადა ტყეშელაშვილმა.

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# რეიტინგების ომი — სოციოლოგიური კვლევები რეალობას არ ასახავს

**ამერიკის ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევებმა პოლიტიკურ სპექტრში რომ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, სრულია ბუნებრივია. დაბეჯითებით იმის მტკიცებას ვერ დავიწყებთ, ენდიაი ნაციონალური მოძრაობის ლობისტია და მის პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებს თუ არა, მაგრამ შედეგები, რომელიც მედიაში გამოქვეყნდა, საზოგადოებაში დავასა და ეჭვს იწვევს. იგივე წარმატებით იაგო კაჭკაჭიშვილს ან სხვა სოციოლოგიურ სამსახურს რომ ჩაატარებინა კვლევები, სულ სხვა სურათს მივიღებდით და ნაციონალური მოძრაობა პირველ ადგილზე ვერ გავიდოდა.**





თამარ ნინიძე

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი სოციოლოგიური კვლევა, ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაციისა თუ სოციოლოგიური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ყოველთვის იქნება დავისა და კამათის საგანი, პრაქტიკამ აჩვენა, რომ ობიექტური სურათის დადება ძალიან რთულია, რესპონდენტების ნაწილი შეიძლება გულახდილ პასუხს თავს არიდებს, მაგალითად, დიდია აქ საჯარო მოსამსახურეთა არაპრივილეგირებული მდგომარეობა თუნდაც კერძო სტრუქტურებში მომსახურე ადამიანებთან შედარებით. განსაკუთრებით საინტერესოა, რის საფუძველზე დაიდო ასეთი შედეგი, კითხვაზე, ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები იყოს ვის მისცემდით ხმას, გამოკითხულთა 41% თურმე ხმას ზოგადად ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს აძლევს და არა კონკრეტულ ფიგურას მმართველ პარტიაში. ესეც გაურკვეველ და ბუნდოვან შთაბეჭდილებას ტოვებს. შიდა გამოკითხვების ჩატარება ნაცების ბანაკში ურიგო არ იქნებოდა და შიდა რეიტინგების ნახვა დროული იქნებოდა. საპრეზიდენტო არჩევნებიც მნიშვნელოვანია, როცა კონკრეტიკა არ ჩანს, შეიძლება თამამად ვივარაუდოთ, რომ საქმე არაობიექტურ პასუხებთან გვაქვს.

სავარაუდოდ, კოალიცია „ქართული ოცნება“ და სხვა ოპოზიციური პარტიები ასევე დაუკვეთენ სოციოლოგიურ კვლევებს არასამთავრობო სექტორს და უცხოელ მკვლევარებს, კონკურენცია სოცკვლევებშიც არის და რომელია აქედან ობიექტური, ამის ნათლად წარმოდგენა ძნელია. არსებობენ სოციოლოგიური სამსახურები უცხოეთში, რომლებიც პიარჯგუფებთან არიან მიბმული და ასე, მაგალითად, ნაცმოძრაობასაც და სხვა მის კონკურენტებსაც თამამად შეუძლიათ ის მონაცემი გააცნონ საზოგადოებას, რომელიც მათ უხარიათ და არა ის, რომელიც რეალობასთან ახლოს იქნება. ამიტომ დღეს ნაცმოძრაობა რომ ასე შეაგულიანა ენდიაის მონაცემებმა, ნამეტანი ნუ გაიტაცებთ ეს შედეგები. წინ საკმაოდ დიდი დროა დარჩენილი, წინასაარჩევნო კამპანია ახლა იწყება ოპოზიციისთვის, დღეს თუ ნაცებს რაიმე რეიტინგი აქვთ, ესეც იმის ხარჯზე, რომ სააკაშვილი რეგიონებში დადის და საავადმყოფოებს ხსნის, ზარ-ზეიმით ხვდება ამომრჩეველს რაიონებში, სადაც ფაქტობრივად განსხვავებული აზრი ვერ აღწევს, ამიტომ ნაციონალების სააგიტაციო კამპანია წარმატებულია და მხოლოდ სააკაშვილის ფაქტორის გამო. როგორც კი ოპოზიციური ლიდერები და ივანიშვილი ფართომასშტაბიან კამპანიაში ჩაერთვებიან, სულ სხვა სურათი გამოიკვეთება. სხვათა შორის, საყურადღებოა, რომ ედპ–მ და ახალმა მემარჯვენეებმა საინტერესო შეფასება მისცეს ამ კვლევებს. ელექტორატის ის ნაწილი, რომელიც ჯერ ვერ ჩამოყალიბდა მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას, საკმაოდ სერიოზულია, ამ შუალედურ ნაწილს არც ნაციონალები მოსწონს და არც კოალიცია „ქართული ოცნება“. ამიტომ პარტიები, რომლებიც ვერ მოხვდნენ ამ კვლევებში და ენდიაის შეფასებით პულსი არ ესინჯებათ, სწორედ ელექტორატის ამ კატეგორიაზე გააკეთებენ აქცენტს. ისე კი, ბოლომდე ობიექტურობაზე ნურც ერთ სოცკვლევას ნუ ექნება მაინცდამაინც დიდი პრეტენზია.

## საქართველოში იაპონური მანდარინის მოყვანა იგეგმება

საქართველოში იაპონური მანდარინის მოყვანა იგეგმება, — ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა გოროზიამ გუშინ პარლამენტში, ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, აჭარაში მანდარინის ახალი ჯიშები უკვე შეიტანეს და მას ჩაქვთან ახლოს დარგავენ. მინისტრის ინფორმაციით, ახალი ჯიშების შემოტანის მიზანია, მანდარინი მხოლოდ ერთ სეზონზე არ იკრიფებოდეს და მოსავლის აღება სექტემბერშიც იყოს შესაძლებელი.

**ინტერპრესნიუსი**

# სახალხო დამცველს ყველაზე მეტი პრეტენზიები კალმახელიძესთან და მერაბიშვილთან აქვს

შალვა ჯოხაძე



გუშინ პარლამენტში სახალხო დამცველის ახალი ანგარიში შევიდა. ის 2011 წლის მდგომარეობას ასახავს. ანგარიში ეხება უფლებათა და თავისუფლებათა ფართო სპექტრს და მიმოიხილავს სამოქალაქო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა დაცვის მდგომარეობას. ანგარიში ასახავს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით სახელმწიფოში არსებულ ზოგად ტენდენციებს და მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის კონკრეტულ ფაქტებს.

ისევე, როგორც წინა წლებში, ახალ ანგარიშშიც განსაკუთრებული ყურადღება საპატიმროებში არსებულ ვითარებასა და სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილ უკანონობას ეთმობა. ასე რომ, გიორგი ტუღუში ახალ ანგარიშში ყველაზე ხშირად ვანო მერაბიშვილსა და ხათუნა კალმახელიძეს საყვედურობს.

— რეგულარული მონიტორინგის, შესწავლილი საქმეებისა და განცხადებების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში მოთავსებულ პირთა უფლებების ჯეროვანი დაცვა კვლავ ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს. 2011 წლის განმავლობაში შევისწავლეთ და რეაგირება განვახორციელეთ როგორც პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, ასევე მთელ რიგ სხვა უფლებადარღვევებზე, რომლების ძირითადი ნაწილი დაკავშირებული იყო როგორც პატიმართა ჯანმრთელობის უფლების, ასევე სხვა ძირითადი უფლებების დარღვევასთან.

სამწუხაროდ, კვლავ დაფიქსირდა სისტემაში გარდაცვლილ პატიმართა მაღალი მაჩვენებელი, რომელიც ფაქტობრივად არ განსხვავდება 2010 წლის მაჩვენებლისგან. შესაბამისი საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ ტუბერკულოზი კვლავ რჩება პატიმართა გარდაცვალების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად.

ამავდროულად აღსანიშნავია, რომ საანგარიშო წელს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ ჩვენი რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია გაითვალისწინა. ვიმედოვნებთ, რომ განხორციელებული ცვლილებები ხელს შეუწყობს თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლებების პრაქტიკაში უკეთესად რეალიზებას, — აცხადებს სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში.

საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კონსტიტუციური მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობას. სახალხო დამცველი აქტიურად იყენებს მის ბერკეტს, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმ შემთხვევაში, როდესაც მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტით ან მისი ცალკეული ნორმებით დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი.

— საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლომ ჩვენს 3 კონსტიტუციურ სარჩელზე მიიღო გადაწყვეტილება, რომელთაგან 2 დაკმაყოფილდა, ხოლო ერთის დაკმაყოფილებაზე უარი გვეთქვა. შესაბამისად, ანგარიშში წარმოდგენილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მოკლე მიმოხილვა.

ანგარიშში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სამართლიანი სასამართლოს უფლებას. საანგარიშო პერიოდში ჩვენს აპარატში შემოსული საჩივრებისა და განცხადებების ანალიზი და აპარატის თანამშრომლების მიერ განხორციელებული მონიტორინგი ცხადყოფს, რომ სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისას კვლავ არაერთი პრობლემა გვხვდება. ყველაზე პრობლემურ სფეროდ კვლავ სისხლის სამართალწარმოება რჩება. სამართალწარმოებისას საპროცესო მოქმედებების (ან სასჯელის) გამოყენებისას არცთუ იშვიათია საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და დაცული საკუთრების უფლების ხელყოფა. ამ პრობლემებზე დეტალურად იყო საუბარი წინა წლის ანგარიშშიც, თუმცა, სამწუხაროდ, არც საკანონმდებლო და არც სასამართლო ხელისუფლების მიერ არ გატარებულა ეფექტური ღონისძიებები აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად. კვლავ პრობლემად რჩება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვის საკითხი, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც სისტემურად მოძველებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. გარკვეული პრობლემები დაფიქსირდა სხდომათა საჯაროობისა და სასამართლოზე ფიზიკური ხელმისაწვდომობის კუთხითაც, — აცხადებს სახალხო დამცველი.

ომბუდსმენის ინფორმაციით, 2011 წლის განმავლობაში მათთან კვლავ მაღალი იყო მოქალაქეთა მიმართვიანობა სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებით. ამ კუთხით არსებული უფლებადაღვევათა დიდი ნაწილი განპირობებულია კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებით, რაც, სახალხო დამცველის თქმით, აუცილებლად საჭიროებს აღმოფხვრას.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში სისტემატურადაა განხილული სამართალდამცავი ორგანოების მოსამსახურეთა მიერ მოქალაქეთა უფლებადარღვევის ფაქტები. 2011 წლის საანგარიშო პერიოდში სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ მოქალაქეთა უფლებადარღვევის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა, რომლებიც უკავშირდებოდა ღირსების შემლახავ მოპყრობასა და ძალის არაპროპორციულ გამოყენებას. უფლებადარღვევათა ფაქტების დიდი ნაწილი დაკავშირებული იყო სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ საპროტესტო აქციის დაშლის პროცესში მონაწილეთა მიმართ ძალის გადამეტებასთან. საანგარიშო პერიოდში ასევე დაფიქსირდა და ანგარიშში აისახა პოლიციის თანამშრომლების მიერ პირთა დაკავებისას არაპროპორციული ძალის გამოყენებისა და უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტები. გიორგი ტუღუში აღნიშნავს, რომ სამწუხაროდ, ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა დაკავებული პირების პოლიციის განყოფილებაში მიყვანის შემდეგაც.

— საანგარიშო პერიოდს დაემთხვა ტელეკომპანია „მაესტროში“ განვითარებული მოვლენებიც. იმის გათვალისწინებით, რომ დაპირისპირებული მხარეები კერძო სუბიექტები იყვნენ, ჩვენთვის აღნიშნული საქმის შესწავლა სამართალდამცავი ორგანოს მოხელეთა ქცევის შეფასებითა და მასზე სათანადო რეაგირების კუთხით შემოიფარგლა.

სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებში ყოველ წელს გარკვეული ადგილი ეთმობა შეკრებებისა და მანიფესტაციების კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობის მიმოხილვას. 2011 წელი აქტიური წელი იყო როგორც საკანონმდებლო, ისე შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებით სარგებლობის თვალსაზრისით. წლის განმავლობაში საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში. საანგარიშო პერიოდში გაიმართა ათეულობით აქცია. მათი ნაწილი საკმაოდ მასშტაბური და ხანგრძლივი იყო. მიუხედავად იმისა, რომ აქციების დიდმა ნაწილმა ყოველგვარი უფლებადარღვევების გარეშე ჩაიარა, რამდენიმე შეკრება-მანიფესტაციის დროს

საქართველოს სახალხო დამცველმა დააფიქსირა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის არაერთი ფაქტი.

გამოხატვის თავისუფლების დაცვაზე ზედამხედველობა ყოველთვის წარმოადგენდა საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას. საანგარიშო პერიოდშიც დაფიქსირდა გამოხატვის თავისუფლების რეალიზებასთან

დაკავშირებული პრობლემები. ამავდროულად იყო პოზიტიური წინსვლაც, რაც ბოლო დროს კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს უკავშირდება, — აცხადებენ ომბუდსმენის აპარატში.

ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია 2011 წლის განმავლობაში გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას დაფიქსირებულ დარღვევებზე, მიმოხილულია ჟურნალისტებისა და ცალკეული პირების გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის

ფაქტები, ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობის ხელის შეშლის, მუქარის, მათი დაკავებისა და ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევები. ამავე თავში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამართალდამცავი ორგანოების მიერ იმ საქმეების გამოძიების

ხარისხის შეფასებას, რომლებიც ჟურნალისტურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

სახალხო დამცველის ცნობით, საანგარიშო პერიოდში არაერთხელ დაირღვა ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის ფუნდამენტური უფლება საჯარო დაწესებულებების უფლებამოსილი პირების მიერ. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საქართველოს სახალხო დამცველისადმი წარმოდგენილი განცხადებების განხილვის შედეგად გამოვლინდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დარღვევის, ინფორმაციის არასრულყოფილი სახით გაცემისა და ინფორმაციის გაცემის ვადების დარღვევის ფაქტები.

— ანგარიშში დეტალურად არის განხილული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების ფართო სპექტრი: საკუთრების უფლება, სათანადო საცხოვრისის უფლება, სოციალური უზრუნველყოფის უფლება და სხვა. საანგარიშო წელს სახალხო დამცველს არაერთმა მოქალაქემ მიმართა მისი საკუთრების უფლების შესაძლო დარღვევისა და შეზღუდვის მიზეზით. შესწავლილი საქმეების შედეგად გამოიკვეთა არაერთი კონკრეტული უფლებადარღვევის ფაქტი, რომლებზეც დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შესაბამის უწყებებს.

რაც შეეხება იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლას, ეს საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. საანგარიშო პერიოდში იძულებით გადაადგილებულ პირთა მომართვიანობა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მაღალი იყო. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და მასთან არსებული პროექტი აქტიურად ატარებდნენ იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის მონიტორინგს საქართველოს მასშტაბით. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიში მონიტორინგისას გამოვლენილ უფლებადარღვევის ფაქტებსა და ზოგადი სიტუაციის ანალიზს ეყრდნობა.

2011 წლის განმავლობაში არ გაუმჯობესებულა ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა. ისევე, როგორც წინა წლებში, საქართველოს სახალხო დამცველისადმი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების — ეკომიგრანტების, მომართვიანობა მაღალი იყო.

საანგარიშო პერიოდში, ისევე, როგორ წინა წლებში, სახალხო დამცველი ინტენსიურად ადევნებდა თვალს საქართველოში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარებას. გაანალიზებული პრაქტიკის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ შესამჩნევი პროგრესი შეინიშნება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის კანონმდებლობის დახვეწის კუთხით, თუმცა კვლავაც რჩება სერიოზული პრობლემები კანონით გათვალისწინებული ნორმების აღსრულებისას.

ანგარიშში დიდი ადგილი ეთმობა ჯანდაცვის უფლების რეალიზებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ ასპექტებს. სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა ამ სისტემის ერთ-ერთ სერიოზულად პრობლემად რჩება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოსახლეობის ის კატეგორია, რომელიც არ ან ვერ სარგებლობს დაზღვევით. ხშირია შემთხვევები, როდესაც ჯანმრთელობის პრობლემა ოჯახის გაღატაკების მიზეზი ხდება.

დაბოლოს, ტრადიციისამებრ ანგარიშში წარმოდგენილია ჩვენი მოსაზრებები, წინადადებები და რეკომენდაციები საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებისადმი, რომელთა მიზანიც ამ ანგარიშში აღწერილი დარღვეული უფლებების აღდგენა და უფლებადარღვევების პრევენციაა, — აცხადებს ტუღუში.

# ოპოზიციას მერაბიშვილთან 10 კითხვა აქვს

## ადეიშვილის ნაცვლად პარლამენტში თინათინ ბურჯალიანი მივა

თეა მარხვაიძე

**დღეს პარლამენტში სამთავრობო საათი გაიმართება. ასეთი საათები საკანონმდებლო ორგანოში ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს იმართება ხოლმე. დღევანდელ სამთავრობო საათს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, პარლამენტში თვით შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი მიდის.**



მერაბიშვილი პარლამენტში სხვა დროსაც მისულა, მაგრამ ამ ვიზიტს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს და არა მხოლოდ ოპოზიციისთვის. დღეს ნაციონალებს დიდი თავისგამოდება მართებთ. სხვა თუ არაფერი, საარჩევნო სიას მერაბიშვილი ადგენს. რამდენიმე დეპუტატი ყველაფერს გააკეთებს, შს მინისტრს კარგად მოხვდეს თვალში, რომ მერე საარჩევნო სიაში გამსვლელი ადგილი დაიკავოს.

შს მინისტრის პარლამენტში მოწვევის ინიციატორები ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრები იყვნენ. ფრაქციის წევრები ბოლო ერთი თვეა დაუღალავად ითხოვენ ძალოვნების პარლამენტში მისვლას.

დაახლოებით ერთი თვეა მათ საპასუხო განცხადებებს აკეთებდა პეტრე ცისკარიშვილი. ის ოპოზიციას ეუბნებოდა, მინისტრებს არ მოგაწვევინებთ და შოუს არ მოგაწყობინებთო. მმართველ გუნდში მიაჩნიათ, რომ ფრაქცია მთავრობას შოუს მოსაწყობად იბარებს. ე.წ შოუ კი ფრაქციას თურმე ივანიშვილისთვის თავის მოსაწონებლად სჭირდება.

„ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრების ნებისმიერ გამოსვლას ნაცმოძი კასტინგად განიხილავს. სადღაც მართლებიც არიან. ივანიშვილი, ისევე, როგორც მმართველი გუნდი, საარჩევნო სიას ადგენს. იქ მოსახვედრად კი ოპოზიციონერებს თავის გამოჩენა მართებთ, ადგილები ცოტაა, მსურველი კი ძალიან ბევრი.

ანალოგიური ვითარებაა მმართველ პარტიაშიც. აქედან გამომდინარე, ისინიც კასტინგში ღებულობენ მონაწილეობას და ვინც მეტად გააკრიტიკებს ოპოებს, მას ნაცმოძის სიის სათავეში ადგილი გარანტირებული აქვს.

ოპოზიცია ვარაუდობს, რომ დღეს პარლამენტში ძალიან მწვავე გამოსვლები იქნება. ჟიმნი მებონიასი არ იყოს, მაგარი დუღარე შოუ უნდა გამოვიდეს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სხდომას მიშა მაჭავარიანი წაიყვანს. მაგას კიდევ ისეთი რეპლიკები აქვს, დუღარე წყალი მიმიქარია (დავით ბაქრაძეს რაც შეეხება, ის ოფიციალური ვიზიტით უგანდაში გაემგზავრა. იმედია უგანდელი ფერმერების ჩამოსაყვანად არ იქნება წასული).

მაჭავარიანს მწარესიტყვაობაში არც კოლეგა ნაციონალები ჩამორჩებიან. ამ მხრივ გია ცაგარეიშვილი და ჯონდი ბაღათურიაც გამოირჩევიან.

მათმა განცხადებებმა ზუსტად ერთი თვის თავზე პრეზიდენტი კონტროლიდან გამოიყვანა. ვითომ მერაბიშვილს ვერ მოუშლიან ნერვებს? ზურაბ ადეიშვილისთვის ნერვების მოშლა არ გამოვა. ეს უკანასკნელი კიევშია წასული და სამთავრობო საათს ვერ დაესწრება. მის მაგივრად პარლამენტში იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინათინ ბურჯალიანი მივა.

ნერვები არც მერაბიშვილს მოეშლება. შს მინისტრი კითხვებისთვის მომზადებული იქნება. ფრაქციამ „ერთობა სამართლიანობისთვის“ სამთავრობო საათისთვის კითხვები შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილსა და იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილს გადაუგზავნა.

აი, რა კითხვები გაუგზავნეს მინისტრებს:

1. მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 22 მარტის ¹127 და 2007 წლის 20 ივნისის ¹308 განკარგულებები, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონება პრეზიდენტის ოჯახის წევრის, მისი დედის საკუთრებაში გადავიდა, არის უკანონო და შეიცავენ კორუფციის ნიშნებს?

2. რამდენად კანონიერად გადაეცა პრეზიდენტის დედის, გიული ალასანიას კუთვნილ „საქართველოს უნივერსიტეტს“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 15 827 კვ.მ. ფართი?

3. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“-გან პრეზიდენტის მეუღლის საკუთრებაში არსებულმა რადიო „მუზამ“ 2009 წელს საჩუქრად 456 342 ლარი, ხოლო 2010 წელს 644 952 ლარი, ჯამში – 1 101 294 ლარი მიიღო. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ამ საჩუქრის მიღებით პრეზიდენტმა დაარღვია საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ?“

4. საქველმოქმედო ფონდ „ქართუ“-დან კანონდარღვევით მიღებული საჩუქარი პრეზიდენტმა თავის ქონებრივ დეკლარაციაში არ ასახა. მიგაჩნიათ თუ არა, რომ პრეზიდენტმა დაარღვია საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ?“

5. ზემოთ ჩამოთვლილ კანონდარღვევების გამო აღძრულია თუ არა სისხლის სამართლის საქმე პრეზიდენტის წინააღმდეგ და მიმდინარეობს თუ არა საგამოძიებო მოქმედებები?

6. გთხოვთ გაგვცეთ პასუხი, ხაშურის რაიონის პოლიციის შენობაში მოქალაქე სოლომონ ქიმერიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რატომ არ მიეცა ოჯახს საშუალება დამოუკიდებელი ექსპერტი მოეწვია და დამოუკიდებელი ექსპერტიზა ჩაეტარებინა? აღძრულია თუ არა სისხლის სამართლის საქმე იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც მოქალაქეებს ქიმერიძის ოჯახისთვის სამძიმრის გამოხატვის საშუალებას არ აძლევდნენ და ხელს უშლიდნენ ჟურნალისტებს (ტელეკომპანია „მაესტროსა“ და ტელეკომპანია „თრიალეთის“) ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებაში და ემუქრებოდნენ მათ ფიზიკური ანგარიშსწორებით?

7. გთხოვთ მოგვცეთ განმარტებები, კახეთში ჟურნალისტ სოფო ნიკოლაშვილის უკანონო დაპატიმრებასთან დაკავშირებით და აღძრულია თუ არა სისხლის სამართლის საქმე პოლიციელ გ.სიბაშვილის წინააღმდეგ, სოფო ნიკოლაშვილისა და მისი ადვოკატის განცხადებების საფუძველზე?

8. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2011 წლის 14 იანვარს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელზე წარდგენილ იქნა სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისთვის მოქმედების წინასწარი გეგმა. რას ითვალისწინებს ხსენებული წინასწარი მოქმედების გეგმა? რა სახის ღონისძიებები აქვს დაგეგმილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სანდრო გირგვლიანის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსასრულებლად?

9. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღუსრულებლობა საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან. ამისი ნათელი დადასტურებაა ვეტერან ავიატორთა სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოო სასამართლო აქტები მათთვის კუთვნილი შემწეობების გაცემასთან დაკავშირებით. ხუთი წელია მოქალაქეთა ეს ჯგუფი იუსტიციის მინისტრისგან პასუხს ამაოდ ელის. ამ ხნის განმავლობაში გარდაცვლილია თერთმეტი ვეტერანი მფრინავი, პასუხი კი, მიუხედავად დაპირებებისა, არ ისმის. გთხოვთ გაგვცეთ პასუხი, რა ვადებში და რა სამართლებრივი ფორმით იქნება აღმოფხვრილი აღნიშნული სამართალდარღვევის ფაქტები?

10. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ დეტალურად განმარტოს, რატომ ჭიანურდება დღემდე და რა ეტაპზეა ამჟამად ბატონ ბიძინა ივანიშვილისთვის ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხი?

სავარაუდოდ, ნაცმოძს სწორედ ბოლო კითხვა მოუშლის ნერვებს. ჩვენი ხელისუფლება ამ თემაზე მეტად მტკივნეულად რეაგირებს. ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭება-არმინიჭების საკითხი 5 აპრილს უნდა გადაწყდეს.

დეპუტატ ჯონდი ბაღათურიას განცხადებით, ამ თემაზე მმართველ გუნდში აზრთა სხვადასხვაობაა. ამბობენ, რომ ნაწილი ბიზნესმენისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენას უჭერს მხარს.

სავარაუდოდ, მათ რიგებშია ნუგზარ წიკლაურიც. რომელმაც ცოტა ხნის წინ მეტად ორიგინალური კომენტარი გააკეთა. ენ-დი-აის კვლევებიდან გავიგეთ, რომ გამოკითხულთა 70% ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენას უჭერს მხარს.

წიკლაურს გონივრული ეჭვი აქვს, რომ ამას ერი ბოროტი განზრახვით ითხოვს.

– მოსახლეობას სურს, რომ ივანიშვილს მოქალაქეობა აღუდგეს. უნდათ, რომ მან არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს, რათა შემდეგ ის არჩევნებში დაამარცხონ, – მიიჩნევს მმართველი გუნდის წარმომადგენელი.

დღევანდელ სხდომაზე, სავარაუდოდ, სამეგრელოში შეიარაღებული ფორმირებების შექმნის შესახებაც ისაუბრებენ. ამ თემაზე ოპოზიციისგან ხმაურიან განცხადებებს 27 მარტსაც ელოდნენ. თუმცა სამშაბათს გამართულ პლენარულ სხდომაზე მსგავსი არაფერი მომხდარა.

არადა, ამ თემაზე ოპოზიციამ დიდი ალიაქოთი ატეხა. ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, ირაკლი ალასანიამ ამის შესახებ ჯერ ელჩებთან გააკეთა განცხადება, შემდეგ კი დაპირებული მტკიცებულებები ააფრიალა. მან კონკრეტული პიროვნებებიც დაასახელა. ეს მტკიცებულებები ალასანიამ საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანსაც გაუგზავნა.

გიგა ბოკერიამ ეს მტკიცებულებები არაფრად ჩააგდო. ფორმირებების შექმნა კი თითქმის დაადასტურა.

მისმა კომენტარებმა დიდი ჭორაობა გამოიწვია. ჭორაობენ, რომ ბოკერია ვიღაცის თამაშს თამაშობს. ამბობენ, რომ ეს ყველაფერი ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ არის მიმართული. მერაბიშვილზე თავის მხრივ იმას ამბობენ, რომ ის პარტიას ქმნის.

როგორც ყოველი არჩევნების წინ, ამჯერადაც ბევრი ჭორი და ვარაუდი გამოითქმება.

დღევანდელი სამთავრობო საათი ოპოზიციისთვისაც და პოზიციისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება. პეტრე ცისკარიშვილისა არ იყოს, დიდი კასტინგი გაიმართება, სადაც ორივე მხარეს ექნება თავის გამოჩენის შესაძლებლობა. დეპუტატები თავს არ დაზოგავენ. სხვა საქმეა, როგორ დააფასებენ ამას ზევით.

# ბათუმში ტურისტებისთვის შადრევნიდან ჭაჭა ამოიფრქვევა

თეა მარხვაიძე

საქმეს ისეთი პირი უჩანს, საქართველოში ახალი სამინისტრო შეიქმნება. ამ სამინისტროს ხელისუფლების იდეების საზღვარგარეთ გატანა დაევალება. იდეები კი ჩვენს მთავრობას იმდენი აქვს, კაცობრიობას ნახევარი საუკუნე თავისუფლად ეყოფა. იდეები შეიძლება ყველას მოუვიდეს. ჩვენებურებს კი რაღაც განსაკუთრებული გიჟმაჟი იდეები მოსდით, რაც ერთი მხრივ სულაც არ არის ცუდი. ასეთი იდეები რომ არა, არც ჟურნალისტებს გვექნებოდა საწერი და არც ოპოზიციას სალაპარაკო.

ჩვენი ხელისუფლება ახლა ტურიზმზეა ორიენტირებული. გვპირდებიან, რომ წელს საქართველოში მილიონობით ტურისტი ჩამოვა, მაგრამ მიღწეულით არ ვკმაყოფილდებით და კიდევ მეტი ტურისტი გვინდა ვიხილოთ.

ტურისტების მოსაზიდად განსაკუთრებით აქტიურად მუშაობენ ბათუმში. ახლა აქ ათას რამეს დგამენ ხალხის ჩამოსაყვანად.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზაფხულის ბოლოს ბათუმში ორიგინალური შადრევანი გაიხსნება. სანაპიროზე, გოგებაშვილის ქუჩაზე შენდება კოშკი, საიდანაც კვირაში ერთხელ, 10-15 წუთის განმავლობაში, შადრევნიდან წყლის ნაცვლად ქართული ჭაჭა გადმოვა.

ეს ორიგინალური იდეა ტურისტების მოსაზიდად ჩაიფიქრეს და ის მოზიდვა იყოს და ასეთი რამეები მთელი ქვეყნის მასშტაბით აღვმართოთ.

დავიწყოთ ულამაზესი ყაზბეგიდან. აქ ტურისტების ნაკლებობაა არაა, მაგრამ მეტია საჭირო.

წარმოიდგინეთ, რამდენი ტურისტი ჩავა, აგვისტოს ბოლოს რამდენიმე დღის განმავლობაში თუ აქ ხინკლის წვიმა მოვა. პილმენებიც დასაშვებია.

ხინკლის და პილმენის წვიმის გამოყენება თუშებს, მთიულებს, ფშავლებს და ხევსურებსაც შეუძლიათ.

სვანებთან ალბათ კუპდარის საფრიალო ძეგლი უნდა დაიდგას. სამეგრელოში ელარჯის მოლი და სულგუნის ხალიჩა დაიფინოს.

იმერეთში ცხელ მჭადებს დაუშენენ ტურისტებს. თან კეცზე გამომცხვარ ხაჭაპურსაც მიაყოლებენ.

ქართლში ნაზუქების სასროლეთის მოწყობა იქნება მაგარი. უმშვენიერეს კახეთში კი ხაშლამის ბურუსი უნდა დადგეს. ხომ ინატრა კახელმა, ნეტა ალაზნის ველი ხაშლამით იყოს სავსე და ვერტალიოტით მარილს აყრიდნენო. ჰოდა, დადგა ამ ოცნების ასრულების დრო! ამით უცხოელ ტურისტებსაც მოვიზიდავთ და შიდა ტურიზმიც აყვავდება.

ასეთი მისაზიდების მეტი რა გვაქვს ქართველებს, ჰოდა მოვიფიქროთ და მოვიზიდოთ ტურისტები. ვაშენოთ ჭაჭის შადრევნები, არყის აუზები... ჭაჭის შადრევანი ალკოჰოლის მოყვარული ქართველი მამაკაცებისთვის მისწრება იქნება.



ისე თუ ტურისტების მოზიდვაა, დრო, როდესაც შადრევნიდან ჭაჭა იდენს, კომერციულ კომპანიებს თავიანთი საქმიანობის რეკლამირებისთვის დაეთმობათ.

25-მეტრიანი კოშკის ინფრასტრუქტურაში, ჭაჭის შადრევნის გარდა, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, ოთხი ღია აუზი და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებიც იქნება.

ვერაფერს იტყვი, ძალიან საინტერესო იდეაა, ოღონდ მარტო ჭაჭა არ იქნება საკმარისი. სადაც ჭაჭაა, იქ კიტრის მწნილიც უნდა იყოს. იმედია ამაზეც იზრუნებენ და იქვე კიტრის ლობეებს აღმართავენ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბათუმს ძირითადად სომეხი ტურისტები სტუმრობენ, ჯობდა შადრევნიდან კონიაკი ამოფრქვეულიყო. გაეხარდებოდათ მათი საფირმო სასმელის დალევა.

სახლში სასმლის სუნით გაჯერებული რომ მივა, ცოლი აუცილებლად მიაწყევლის. ჩაეძიება: სად ჩაცეცხლეო. ქმარიც ეტყვის: წვეთი არ დამილევია, უბრალოდD ჭაჭის შადრევანთან გავიარე და გავიწუწეო. ცოლიც დაიჯერებს და ოჯახური კონფლიქტიც ამოწურული იქნება.

მოკლედ, ამ ყველაფერს ბევრი პლუსი აქვს. ამავე დროს გასარკვევია, ეს ჭაჭა მარტო უცხოელი ტურისტებისთვის იქნება თუ ქართველებსაც შეეძლებათ მათი დაგემოვნება.

იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ უცხოელებისთვის იქნება განკუთვნილი, მაშინ აქ შეიძლება დიდი გამოსვლები დაიწყოს. სამწუხაროდ, საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანი ეძალება სასმელს და ხელისუფლება მათ რისხვას ვერ გადაურჩება.

# აკაკი მინაშვილი: ივანიშვილს ქართული კანონმდებლობა უპირატესობას ვერ მიანიჭებს



პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის აკაკი მინაშვილის განცხადებით, მეზობელ ქვეყანაში ნაშოვნი მილიარდების გამო, ბიძინა ივანიშვილს ქართული კანონმდებლობა სხვა მოქალაქეებისგან განსხვავებით უპირატესობას ვერ მიანიჭებს.

ამის შესახებ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი მინაშვილმა გუშინ ,,პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა.

მინაშვილის თქმით, ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო, ავტომატურად შეუწყდა.

მისი განცხადებით, ივანიშვილის პარალელურად, 2012 წელს საქართველოს მოქალაქეობა 900 ადამიანს შეუჩერდა.

,,საქართველოში, როგორც იქნა მივაღწიეთ იმას, რომ ადამიანს კანონის წინაშე ფული არ განასხვავებს. ივანიშვილს მეზობელ ქვეყანაში ნაშოვნი ბევრი მილიარდის გამო, უპირატესობას ვერ მივანიჭებთ. საქართველოს კანონმდებლობა მასზეც ისევე გავრცელდება, როგორც თითოეულ ჩვენს თანამოქალაქეზე“, – აღნიშნა აკაკი მინაშვილმა.

**მედიანიუსი**

## პოლიციამ თაღლითობაში ეჭვმიტანილი დააკავა

ისანი-სამგორის პოლიციამ თაღლითობაში ეჭვმიტანილი 1992 წელს დაბადებული ლაშა გოგლიძე დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მოქალაქე ხათუნა ხუნდაძის მიმართ 22 მარტს განხორციელებული თაღლითური ქმედების ფაქტზე დაწყებულმა გამოძიებამ შემდეგი ფაქტი დაადგინა – „3 მარტს ლაშა გოგლიძემ სოციალურ ქსელში თავის ვებგვერდზე განათავსა ხათუნა ხუნდაძის მეგობრის ფოტოსურათი და მონაცემები. შემდეგ მეგობრის სახელით ხუნდაძეს დაუკავშირდა და მოატყუა, თითქოს, ბათუმში იყო და ბარში ხელჩანთა დაკარგა. მასში კი, ედო მობილური ტელეფონი, საბუთები და ფული. მან ხუნდაძეს „აჭარაბეთის" მითითებულ ანგარიშზე 50 ლარის გადარიცხვა სთხოვა. ხუნდაძემ, რომელსაც ეჭვი არ შეპარვია, რომ სოციალურ ქსელში თავის მეგობარს ესაუბრებოდა, სწრაფი გადარიცხვის აპარატიდან აღნიშნული თანხა გადარიცხა"– განაცხადეს შსს-ში.

სამინისტროს ინფორმაციით, ლაშა გოგლიძემ დანაშაული აღიარა. გამოძიება გრძელდება. **ნიუსპრესი**

## გია თორთლაძე: საქართველო შესაძლოა თაფლის სამშობლოდ აღიარონ



საქართველო შესაძლოა თაფლის სამშობლოდ აღიარონ, – ამის შესახებ ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარემ. დეპუტატმა გია თორთლაძემ საბჭოს სხდომაზე სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა გოროზიასთან შეხვედრისას განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში გერმანელებმა კერამიკული ჭურჭლით თაფლი აღმოაჩინეს, რომლის სიძველე 3 700 წლით თარიღდება. თორთლაძის ინფორმაციით, ეს ყველაზე ძველი თაფლია, რაც კი მსოფლიოში აღმოუჩენიათ.

საბჭოს დღევანდელ სხდომაზე საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს საკითხზეც იყო საუბარი და აღინიშნა, რომ საქართველოში, სავარაუდოდ, 7 ათასი წლის ყურძნის წიპწაა აღმოჩენილი, რაზეც ლაბორატორიული დასკვნა უახლოეს მომავალში იქნება. ამ ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კი, საქართველო ღვინის სამშობლოდ იქნება აღიარებული. **ინტერპრესნიუსი**

# გიორგი გუგავა: ჩვენ ოლიგარქები გვებრძვიან

**რა ჩანაფიქრი აქვს ამერიკას ოქტომბერში დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებთან მიმართებაში და რამდენად სახიფათოა ენდიაის კვლევები, სადაც მერაბიშვილი პატრიარქის გვერდით ქვეყანაში ნდობით მოსარგებლე მეორე პირად დაფიქსირდა? — ამ საკითხების ირგლივ გთავაზობთ ინტერვიუს ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურ მდივან გიორგი გუგავასთან.**

შორენა კოწოწაშვილი



***– ბატონო გიორგი, რა პოზიცია გაქვთ ლეიბორისტებს ენდიაის კვლევის შედეგებთან დაკავშირებით და რამდენად ასახავს ეს შედეგები რეალობას?***

– საქართველო გადაქცეულია ამერიკის შეერთებული შტატების უუფლებო კოლონიად, რომელსაც აქ დასმული ყავს მარიონეტული ხელისუფლება, რომელსაც ინდულგენცია გამოწერილი აქვს იმ ცოდვებზე, რომელსაც ისინი სჩადიან ქართველი ხალხის და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ეს გამოიხატება არჩევნების გაყალბებაში, ძალადობაში, მასობრივ კორუფციაში, მოსახლეობის გალატაკებაში და ა.შ. ეს ხდება მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი მორჩილი გოშიები არიან აშშ-ის გარკვეული პოლიტიკური წრეების და მზად არიან მონურად აღასრულონ ის დავალებები, რასაც ვაშინგტონიდან მიიღებენ. ეს იქნება ავღანეთში ჯარების გაგზავნა; ერაყში ჯარების გაგზავნა; ეს იქნება რუსეთთან დაპირისპირება, რომელსაც შეეწირა ჩვენი სახელმწიფოებრივი მთლიანობა და ა.შ. ასევე, რადგან ჩვენ ამერიკის მონურ კოლონიად ვართ გადაქცეული, ამერიკას აქ ჰყავს კოლონიური ინსტიტუტები, როგორიცაა მაგალითად, ენდიაი, აირაი, სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელზეც გამოყოფილი და დახარჯულია ის თანხები, რომელზეც საუბარი ჰქონდათ აშშ-ის სენატში. 3 მლრდ დოლარზეა ლაპარაკი. ეს 3 მლრდ ქვეყნის განვითარებას, სოციალური პრობლემების მოგვარებას, მის აღმშენებლობას არ მოხმარებია. მოხმარდა სწორედ ასეთი ვითომ სოციალური კვლევების ჩამტარებელი და სხვა ამერიკული ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების ინტერესებს. ეს ფული მოხმარდა აგრეთვე პროამერიკული ორგანიზაციების და ამ კორუმპირებული ხელისუფლების შენახვას. ამერიკას ნაყიდი ჰყავს ეს პოლიტიკური ელიტა. სხვათა შორის, მას ნაყიდი ჰყავს არა მხოლოდ სახელისუფლო ელიტა, არამედ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებიც, რომლებიც გაკივიან ნატო, ნატოს; რომლებიც მზად არიან და მხარს უჭერენ ავღანეთში ჯარების გაგზავნას; რომელთა პოზიცია არანაირად არ განსხვავდება ხელისუფლებისაგან. ეს ყველაფერი კეთდება სწორედ იმ სოლიდური მწვანე დოლარების გამო, რომელიც ამერიკიდან შემოდის. ამდენად, აშშ-ის გარკვეულ პოლიტიკურ წრეებს გადაწყვეტილი აქვთ სააკაშვილის და მისი რეჟიმის ხელისუფლებაში დატოვება. ეს სოციოლოგიური კვლევებიც ამის სამზადისია. საზოგადოებრივი აზრის შემზადებას ემსახურება ეს ე.წ. გამოკვლევები, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ როდესაც არჩევნები გაყალბდება, ჰქონდეთ ერთგვარი ალიბი, რომ ასეთი რეიტინგები იყო მარტში და არჩევნები კი არ გაყალბებულა, ეს შედეგები იმ დროს საზოგადოებრივ აზრს ასახავდა.

***– ანუ ამ რეიტინგებში ამერიკული ინტერესები დევს?***

– რა თქმა უნდა. როგორც უნდათ, ისე გადაანაწილეს. ხელისუფლებაში სააკაშვილი; ოპოზიციაში რამდენი კვოტით უნდა გავიდეს მეორე პროამერიკული ძალა; მესამე პროამერიკული ძალა. ეს ყოველივე მიმართულია ეროვნული ძალის – ლეიბორისტული პარტიის წინააღმდეგ.

***– გამიზნულად დააფიქსირა ლუის ნავაროს ორგანიზაციამ ლეიბორისტული პარტიის 1%-იანი რეიტინგი?***

– ენდიაი თავის რეიტინგებში მუდმივად 1-2%-ს გვიწერდა. თქვენ წარმოიდგინეთ, გაყალბებული არჩევნების შედეგებითაც ვიღებდით მინიმუმ 10-ჯერ მეტ ხმას. აქედან გამომდინარე კიდევ ერთხელ ცხადი ხდება, რომ აუცილებელია იმ სამზადისის წინააღმდეგ – იმ საარჩევნო სისტემის და გაეროს წინააღმდეგ გალაშქრება, რომელიც გამზადებულია არჩევნების გასაყალბებლად. დღესვე უნდა გავილაშქროთ ამის წინააღმდეგ, რადგან ხვალ გვიან იქნება. ამიტომ დავიწყეთ ჩვენ გაყალბების წინააღმდეგ საპროტესტო აქციები. ვიცით, რასაც ნაციონალები აპირებენ და ამიტომ ვამბობთ, რომ აქტიურობა დღესვეა საჭირო. დღესვე უნდა დავანახვოთ ჩვენი ურყევი ნება, რომ არ ვაპირებთ შევეგუოთ არჩევნების გაყალბებას. ჩვენ არ ვაპირებთ სააკაშვილის რეჟიმის და დიქტატის გახანგრძლივებას და კიდევ რამდენიმე წლით ატანას. 29 მარტს გვაქვს პარლამენტის წინ დანიშნული მორიგი აქცია და მოვუწოდებთ ყველას, ვისთვისაც სულ ერთი არ არის ამ ქვეყნის ბედი დ ავის ხელში იქნება ქვეყნის მართვის სადავეები, გამოვიდეს პარლამენტის წინ და ერთად წითელი ავუნთოთ ამ ხელისუფლებას. რეალურად ჩვენ ამერიკის დიქტატმა მთავარი უფლება – არჩევანის უფლება წაგვართვა. ის ჩამძვრალია ჩვენს გულებში, სულებში და ყველა სოციალურ საკითხს ის აკონტროლებს. აქ კი ამ, ყველაფერს მმართველი მარიონეტების ხელით ახორციელებს. ამიტომ არის აქტიური წინააღმდეგობის ფრონტის გაშლა.

***– ანუ შეგუებული იყავით, რომ ამერიკული ორგანიზაცია ასეთ დაბალ რეიტინგს დაგიფიქსირებდათ?***

– ჩვენ მუდმივად ასეთ დაბალ პროცენტს გვიწერენ. მთავარი ის არის, რომ გაიშიფრა, რა სქემითაც აპირებენ არჩევნების გაყალბებას. გამოიკვეთა, რომ ამერიკელები აპირებენ ხელისუფლებაში ისევ ეს რეჟიმი დატოვონ. მეორე და მესამე ძალადაც პროამერიკული პარტიების შეყვანას აპირებენ პარლამენტში იმისათვის, რომ მთლიანად პროამერიკული იყოს საქართველოს ხელისუფლება. ეს კეთდება იმისათვის, რომ ამ ქვეყანაში ამერიკულ ინტერესებს არაფერი დაემუქროს. ვის ჩაატარებინეს იცით ეს „კვლევები"? იმ ორგანიზაციას, რომლის ხელმძღვანელია ცნობილი გამყალბებელი თარხნიშვილი. თარხნიშვილის ორგანიზაციაა „კავკასიის რესურსს ცენტრი", რომელმაც ეს გამოკითხვები უშუალოდ განახორციელა. ამ ორგანიზაციის დირექტორი კი თარხნიშვილის მეუღლეა. ეს არის ერთ კაბინეტში დაწერილი შედეგები და მისი დანიშნულება არის პროპაგანდისტული, რომ წინასწარ შეამზადონ საზოგადოება მოსალოდნელი გაყლბებული არჩევნებისადმი. ბუნებრივია, ჩვენ, როგორც ეროვნულ ძალს, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ამ ქვეყნის სუვერენიტეტის აღდგენა, დამოუკიდებლობა, თავისუფალი არჩევნები, ეროვნული ღირებულებების დაცვა, გალაშქრება ოლიგარქების წინააღმდეგ და ა.შ., ბუნებრივია, ჩვენ მათ არ ვაწყობთ და ამიტომ გვიწერენ ასეთ დაბალ რეიტინგს. უნდათ ასეთი გამოკითხვებით რამენაირად დაგვაკნინონ. თუმცა ამას ეს ხელისუფლება ვერ ეღირსება.

***– კვლევების შედეგებმა პოლიტიკოსთა ნაწილს ასეთი აზრი გაუჩინა, რომ ლეიბორისტები ახალ პარლამენტში ვერ მოხვდებიან.***

– ეს ამერიკას უნდა და მას აწყობს. რეალური არჩევნების დროს, გაყალბებული არჩევნების შედეგებითაც ჩვენ ბევრად მეტი პროცენტი გვაქვს, ვიდრე ამას ეს კვლევები დებენ. მერეც, ლეიბორისტული პარტია, რომელიც გამოკვეთილად სოციალური სამართლიანობისთვის იბრძვის, თუ არ მოვა პარლამენტში და ხელისუფლებში, ეს ჩვენი ტრაგედია კი არ იქნება, არამედ ქვეყნის ტრაგედია იქნება. უნდა შეიქმნას საერთო ეროვნული თანხმობის მთავრობა და უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა ქვეყნის მართვაზე; და იმ სავალალო შედეგების გამოსწორებაზე, რომელმაც ეს ქვეყანა მიიყვანა დაშლამდე, მოსახლეობა – გალატაკებამდე. ამ რეჟიმის შედეგია სწორედ ის, რომ უამრავი ახალგაზრდა იქნა ჩახვრეტილი ქუჩაში. ამის გამოა, რომ პირველ ადგილზე ვართ პატიმრების რაოდენობით ევროპაშიც და მსოფლიოშიც და ა.შ. სააკაშვილის რეჟიმის რეპრესიული მანქანა განაგებს მთლიანად პოლიტიკურ ველს. თუ ჩვენ გვინდა, რომ შევქმნათ და ღირსეული ადგილი დავიკავოთ თანამედროვე მსოფლიოში, ამისათვის საჭიროა ხელისუფლებაში მოვიდეს ეროვნული ძალა – ლეიბორისტული პარტია.

***– ენდიაის კვლევების თანახმად მეორე პიროვნება, ვინც ქვეყანაში ნდობას იმსახურებს პატრიარქის შემდეგ არის შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი. დამაჯერებელია ეს შედეგი?***

– ეს არის შეურაცხმყოფელი. ხომ ხედავთ რა დონზე გვიყურებენ, როგორ ექსპერიმენტებს ატარებენ. ჩვენ სრულფასოვან მოქალაქეებადაც არ გვთვლიან. ხომ გესმით? ვანო მერაბიშვილი, რომელიც ასოცირებულია რეპრესიული მანქანის ჩამოყალიბებასთან, რომელიც რეალურად ატარებს ქვეყანაში არჩევნებს, რომელიც ასოცირდება ახალგაზრდების ჩახოცვასთან, ასოცირებული არის მასობრივი რეპრესიების გატარებასთან და აქციების დარბევასთან, კორუფციასთან, თურმე ის არის პატრიარქის შემდეგ სანდო პიროვნება, ანუ პატრიარქს ამოუყენეს გვერდით მერაბიშვილი და გვითხრეს, რომ ის საზოგადოებაში ყველაზე მეტი ნდობით სარგებლობსო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს შეურაცხყოფაა თითოეული ამ ქვეყნის მოქალაქისთვის. გესმით, რა ხდება და რას აპირებენ? გამოფხიზლდით, ხალხო!

# რაზე ესაუბრა ბაქრაძე იერუსალიმის პატრიარქს



თეოფილე III

თეა მარხვაიძე

საქართველოს პარლამენტის პრეს-სამსახური დავით ბაქრაძის მიერ იერუსალიმის პატრიარქ თეოფილე მესამესთვის ბოდიშის მოხდის შესახებ ბერძნული მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს და ამ შეხვედრის გაშიფრულ ტექსტს ავრცელებს.

როგორც პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსი მაკა გიგაური აცხადებს, აღნიშნული მასალა ერთ საათიანი შეხვედრის მხოლოდ 12 წუთიანი მონაკვეთს მოიცავს. გიგაურის თქმით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ იერუსალიმის პატრიარქთან თეოფილე მესამესთან ერთსაათიანი შეხვედრის განმავლობაში ჯვრის მონასტრის საკითხი არაერთხელ დასვა.

**დავით ბაქრაძე:**

– თქვენთან შეხვედრის შესაძლებლობას ნამდვილად ვაფასებ. პირველ რიგში, მსურს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორეს მოკითხვა გადმოგცეთ. მე მას გამომგზავრებამდე სამი დღით ადრე შევხვდი და მან მთხოვა, თქვენთვის მეთქვა, რომ ის და ჩვენ საქართველოში თქვენს ვიზიტს ველით. თქვენ ნამდვილად პატივსაცემი და ღირსეული სტუმარი იქნებით. ჩვენ ნამდვილად ვაფასებთ იმ კარგ ურთიერთობებს, რომელიც თქვენსა და საქართველოს პატრიარქს ილია მეორეს შორის არსებობს. ეს არის სხვადასხვა ეკლესიებს შორის ქრისტიანული, ძმური ურთიერთობის კარგი მაგალითი. რა თქმა უნდა, მე აქ საქართველოს სახელმწიფოს და არა ეკლესიას წარმოვადგენ, მაგრამ აღნიშნული ურთიერთობების განვითარებას მივესალმებით და გვჯერა, რომ ეს ურთიერთობები სახელმწიფოსთვის, ხალხისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და პოზიტიურია. ჩვენ ნამდვილად ვაფასებთ იმ თბილ დამოკიდებულებას, რომელიც ქართველი ხალხისა და ქართული ეკლესიის მიმართ არაერთხელ გამოხატეთ.

**თეოფილე III:**

– ჩვენ საქართველოს ეკლესიასთან კარგი ურთიერთობები გვაქვს. მე თქვენ წმინდა სინოდის წევრებთან წარგადგენთ.

**დავით ბაქრაძე:**

– მთელი დღე ქნესეთში, პოლიტიკურ დაწესებულებებში სტუმრობაში გავატარეთ. დღეს უკვე მოვინახულე ბევრი ადგილი, რომელიც თქვენს საპატრიარქოს ეკუთვნის. ბევრი ქართველისთვის ჯვრის მონასტერი ისტორიული, ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული ადგილია. ამას აბსოლუტურად ვეთანხმები. ჩვენ ამ პროცესთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების თქვენთან შეთანხმება გვსურს. საინფორმაციო სააგენტოების მხრიდან არაერთი ინტერპრეტაცია მოვისმინეთ. მჯერა, რომ ყველა ეს პროცესი მონასტერთან მიმართებაში თქვენი საკუთრების უფლებისადმი პატივისცემით წარიმართება. ჩვენ პატივს ვცემთ ყველა იმ ქმედებას, რომელიც თქვენმა საპატრიარქომ უკანასკნელი სამასი წლის განმავლობაში აღნიშნული მონასტრის შენარჩუნებისთვის განახორციელა. ჩვენ ამ პროცესში ოფიციალური ისრაელის ჩართვაზე არ ვსაუბრობთ. ისრაელის მთავრობა მეგობრულადაა განწყობილი. ჩვენ მას მხოლოდ იმის შესახებ მივაწოდეთ ინფორმაცია, რომ საქართველომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნების შესაძლებლობასთან დაკავშირებით კონსულტაციები უნდა დაიწყოს. აღნიშნული მონასტერი ჩვენს ისტორიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მას ჩვენი აწმყოსა და მომავლისთვის მნიშვნელოვანი როლი აქვს. იმ კონსულტაციების განმავლობაში, რომელიც ისრაელის ხელისუფლებასთან ჩემი ვიზიტის ფარგლებში გავმართე (ქნესეთის სპიკერს, პრემიერს, საგარეო საქმეთა მინისტრს შევხვდი) მათ საქართველოს მიზნების შესახებ, ჯვრის მონასტრის საქართველოსთვის დაბრუნების შესაძლებლობაზე ვესაუბრე, მაგრამ თქვენ მთავარი ფიგურა ბრძნადებით, ვისთანაც ჩვენ ამ საკითხს ვაყენებთ. ჩვენ პატივს ვცემთ იერუსალიმის საპატრიარქოს, ჩვენს მეგობრებს ისრაელის მთავრობაში ამის შესახებ მხოლოდ ინფორმაცია მივაწოდეთ. ზოგიერთი საინფორმაციო საშუალება, განსაკუთრებით რუსულენოვანი საინფორმაციო სააგენტო ისრაელში პროვოკაციული ინფორმაციების გავრცელებით არის დაკავებული. მათ ჩვენი საგარეო საქმეთა და კულტურის სამინისტროების განცხადებების არასწორი ინტერპრეტაცია განახორციელეს. ამ პროცესში



დავით ბაქრაძე

თქვენს როლსა და იმ კანონს, რომლის მიხედვითაც ეს მონასტერი თქვენს საპატრიარქოს ეკუთვნის, პატივს ვცემთ. ასე, რომ, ჯვრის მონასტრის საკითხთან დაკავშირებით თქვენი, ასევე საპატრიარქოს ძალიან მადლიერი ვართ.

**თეოფილე III:**

– ძალიან დიდი მადლობა განმარტებისთვის. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან უახლოეს წარსულში ბევრ უადგილობას ვაწყდებოდით. ეს მგრძნობიარე საკითხი, როგორც თქვენ მას უწოდეთ, ჩვენ ელჩთან განვიხილეთ.

შეხვედრის ბოლოს პარლამენტის თავმჯდომარემ იერუსალიმის პატრიარქს თანამედროვე ქართველი მხატვრის ნახატი აჩუქა, რისთვისაც თეოფილე მესამემ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს მადლობა გადაუხადა.

# ვინ გააკონტროლებს ფსოუზე და როკის გვირაბთან ტვირთებს?

ნათია ხურცილავა

**პრემიერ–მინისტრ ნიკა გილაურის ინფორმაციით, ყველაზე დიდი კონკურსი სამხედრო ინჟინერიის ფაკულტეტზეა, სადაც ერთ ადგილზე 70 აბიტურიენტი მოდის. ამის შესახებ პრემიერ–მინისტრმა ნიკა გილაურმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.**

გილაურის განცხადებით, მეორე ადგილზეა ელექტროინჟინერია, სადაც ერთ ადგილზე 30 აბიტურიენტი მოდის.

პრემიერ–მინისტრის განცხადებით, მთავრობამ გასულ წელს მიიღო გადაწყვეტილება, რომ აქცენტი ტექნიკურ და საინჟინერო დისციპლინებზე გაკეთებულიყო და ამ მიდგომამ გაამართლა. პრემიერის თქმით, ეს ის დისციპლინებია, რომელიც ქართულ ბიზნესს და ეკონომიკას სჭირდება.

– წელს აბიტურიენტთა უდიდეს ნაწილს მოთხოვნილი აქვს საინჟინრო დისციპლინებზე ჩაბარება. კონკურსი არის მართლაც ისეთი, როგორიც აქამდე არ გვქონია. სხვადასხვა უნივერსიტეტებში მათემატიკაზე და ფიზიკაზე მოდის 7, 10, 14 აბიტურიენტი, ეს ერთ ადგილზე. – აცხადებს ნიკა გილაური. პრემიერ–მინისტრმა ისაუბრა მასწავლებელთა სერტიფიცირების გამოცდაზეც. გილაურის განცხადებით, სასერტიფიკაციო გამოცდების ჩასაბარებლად წელს 50 000 მასწავლებელი დარეგისტრირდა, რაც ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე გასულ წელს.

მისივე თქმით, მთავრობამ სკოლის პედაგოგებსა და დირექტორებს სხვადასხვა მოტივაცია შეუქმნა და ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია სწორედ სერტიფიცირებაა. –

ყველა სერტიფიცირებულ მასწავლებელს ეზრდება ხელფასი 75 ლარით, გარდა ამისა, ვინც ჩააბარებს ინგლისურს და კომპიუტერს, დამატებით 125 ლარს მიიღებს. ყველაზე საუკეთესო მასწავლებელთა 25%-სთვის განსაზღვრულია ხელფასი 1000 ლარის ოდენობით. – განაცხადა გილაურმა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.

გაირკვა, რომ ნიკოლოზ რურუა ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან 40 თანამშრომლის გათავისუფლების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

როგორც ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დაწყებამდე კულტურის მინისტრმა განუცხადა, თუ რაიმე კანონდარღვევა ხდება, ამისათვის სასამართლო არსებობს.

– ასეთ გადაწყვეტილებას თეატრის დირექტორი იღებს, მას უფლება აქვს, რომ ეს გააკეთოს. – განაცხადა ნიკა რურუამ,

ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრში 40 თანამშრომლების გათავისუფლებას ადასტურებენ. თეატრში განმარტავენ, რომ ეს რეორგანიზაციის ფარგლებში მოხდა, თუმცა მსახიობთა ნაწილი ამბობს, რომ ეს ფაქტი ფონდ „ქართუსთან“ მათ ურთიერთობას უკავშირდება.

კიდევ ერთი კითხვა, რაც ჟურნალისტებმა კულტურის მინისტრს ნიკოლოზ რურუას დაუსვეს, მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის შესაძლო გასხვისებას ეხება. აღნიშნულთან დაკავშირებით მინისტრი ინფორმაციას არ ფლობს.

რურუას განცხადებით, მას ეჭვი აქვს, რომ ეს დეზინფორმაციაა. კულტურის მინისტრის თქმით, ის სწორედ მუზეუმის ქუჩაზე ცხოვრობს.

– მსგავსი არაფერი მსმენია, თუმცა მაინც გადავამოწმებ. – აცხადებს რურუა. ბოლო დროს მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც მერაბ კოსტავას სახლ–მუზეუმი და მიმდებარე ტერიტორია ინვესტორზე უნდა გასხვისდეს. თუმცა, ეს ცნობა ოფიციალურად არ დადასტურებულა.



კიდევ ერთი საკითხი, რაზეც კომენტარი გაკეთდა, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ალასანიას ხმაურიანი განცხადებაა, რომლის მიხედვითაც ხელისუფლება სამეგრელოს რეგიონში უკანონო ბანდფორმირებებს აყალიბებს. –სამწუხაროა, რომ ოპოზიციური სპექტრი თავისი უპასუხისმგებლო განცხადებებით სალაპარაკოს აძლევს მარიონეტულ რეჟიმებს. – ამის შესახებ სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში, ეკატერინე ტყეშელაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა. ტყეშელაშვილის განცხადებით, ოპოზიციის წარმომადგენლები საფუძველს აძლევენ მარიონეტულ რეჟიმებს სათქმელად გამოიყენონ თავიანთი განცხადებები, თითქოს საქართველოში რაიმე უკანონობის ფარგლებში ხდებოდეს. ტყეშელაშვილის თქმით, მსგავსი განცხადებები საერთაშორისო თანამეგობრობისა და საქართველოს პარტნიორი ქვეყნების მიერ სერიოზულად აღქმული არ არის.

– ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, დასანანია, როდესაც ასეთი რამ ქვეყნის შიგნით ხდება და ასეთი უპასუხისმგებლო განცხადებებით ხდება ცალკეული ძალების პროვოცირება. – განაცხადა ეკატერინე ტყეშელაშვილმა.

აფხაზურმა მხარემ გასულ კვირას გააკეთა განცხადება, რომ ჟენევის მოლაპარაკებებზე დააყენებს საზღვრისპირა რეგიონებში შეიარაღებული ძალების კონცენტრაციის საკითხს.

სამეგრელოში შეიარაღებული ფორმირებების კონცენტრაციასთან დაკავშირებით, რამდენიმე კვირის წინ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა, ირაკლი ალასანიამ დიპლომატიურ კორპუსს ინფორმაცია მიაწოდა.

– რუსეთს არაფერი ესაქმება, ორ სტრატეგიულ პარტნიორს შორის რა ტიპის თანამშრომლობა განხორციელდება. – ამის შესახებ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, ეკატერინე ტყეშელაშვილმა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის, ალექსანდრე ლუკაშევიჩის განცხადებაზე კომენტირებისას აღნიშნა.

მისი თქმით, ლუკაშევიჩის განცხადებაში ახალი არაფერია, რადგან რუსეთი რამდენიმე წლის განმავლობაში ცდილობს ამერიკა-საქართველოს ურთიერთობები სხვა ჭრილში წარმოაჩინოს.

– რუსეთმა სჯობს საკუთარ თავს მიხედოს, ვიდრე აკომენტაროს სხვა ქვეყნების ერთმანეთს შორის ურთიერთობები. – განაცხადა ტყეშელაშვილმა. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თქმით, საქართველო და ამერიკა სტრატეგიული პარტნიორები არიან და ქვეყნებს შორის ურთიერთობა მრავალმხრივ ჭრილში ვითარდება, მათ შორის თავდაცვის გაძლიერების თვალსაზრისითაც. ტყეშელაშვილის თქმით, ლუკაშევიჩის განცხადება აისაფის მიმართულებით, აბსოლუტურ აბსურდს წარმოადგენს.

–აისაფის მისიაში, ქართული მხარის მონაწილეობის თვალსაზრისით, ჩვენს ჩართულობაზე თუ ვილაპარაკებთ, აქ საერთოდ აბსურდის თეატრს ემსგავსება უკვე რუსეთის განცხადება. – განაცხადა ტყეშელაშვილმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ალექსანდრე ლუკაშევიჩმა განაცხადა, რომ საქართველოს შეიარაღება ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ხდება. ლუკაშევიჩის თქმით, განსაკუთრებით შეშფოთების საგანს წარმოადგენს ის, რომ აისაფის მისიაში ქართულ სამხედროების მიერ ექსპლოატაციაში არსებული იარაღი შესაძლოა საქართველოში აღმოჩნდეს და ეს იარაღი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ გამოიყენონ. ჟენევის მოლაპარაკებების მე-19 რაუნდიდან ქართული მხარე რაიმე განსაკუთრებულ გარღვევას არ ელოდება.

როგორც რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ეკატერინე ტყეშელაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, რაიმე განსაკუთრებული მოლოდინი ნამდვილად არ არის, თუმცა ქართული მხარე მაქსიმალურად ცდილობს, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ, გარკვეული პროგრესი იყოს მიღწეული.

ტყეშელაშვილის განცხადებით ყურადღება გამახვილდება ორ მიმართულებაზე – უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარულ საკითხებზე.

28–29 მარტს ჟენევის მოლაპარაკებების მე-19 რაუნდი გაიმართება. ქართულ დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგი კაპანაძე უხელმძღვანელებს. ქართული მხარე, ტრადიციულად, რუსეთის მიერ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების აღების, ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების მექანიზმების შექმნის, საერთაშორისო საპოლიციო ძალების განლაგების აუცილებლობის, მიმდინარე ინციდენტების პრევენციისა და დევნილთა დასაბრუნებლად უსაფრთხო პირობების შექმნის საკითხებს დასვამს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ჟენევის მოლაპარაკებათა მე-19 რაუნდზე დაისმება, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ პროცესში საერთაშორისო საზოგადოების მონაწილეობის აუცილებლობა იქნება.

ამასთან, როგორც 26 მარტს გამართულ ბრიფინგზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნინო კალანდაძემ განაცხადა, ჟენევაში დაისმება საკითხი, რომელიც ფსოუს, როკისა და ლარსის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე ტვირთების მონიტორინგის მიზნით კომპანიის შერჩევას ეხება. რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების თაობაზე მიღწეული მოლაპარაკებების მიხედვით, ფსოუს, როკისა და ლარსის გამშვებ პუნქტებზე ტვირთების მონიტორინგს შვეიცარულმა კომპანიამ უნდა განახორციელოს.

ახლად დანიშნულმა სოცუზრუნველყოფისა და ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ნარკომანიის პრობლემასთან დაკავშირებით ჟურნალისტების კითხვას უპასუხა.

– ამ მიმართულებით სახელმწიფო მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჩვენი ნაბიჯები მიმართულია ამ ადამიანებისთვის ხელის შეწყობისკენ, რომ მოხდეს მათი განკურნება, რესოციალიზაცია. ამ ადამიანებს სერიოზული პრობლემა აწუხებთ. ნარკოტიკები იყო და ახლაც რჩება ჩვენი საზოგადოების სერიოზულ პრობლემად, მაგრამ ამ მიმართულებით ჯანსაღი ტენდენციაა, მომხმარებელთა კლებაა, რაც უაღრესად დადებითი მოვლენაა. თუმცა, კანონი, რომელიც პარლამენტმა მიიღო მიმართულია იქითკენ, რომ თანხები ამ ადამიანების რეაბილიტაციაზე იყოს მიმართული. ამ კუთხით უნდა მივესალმოთ პარლამენტის მიერ ამ კანონის მიღებას. – განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

# მთავარი უცხო ენა ინგლისური გახდა

ნათია ხურცილავა



ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მთავარი უცხო ენა ინგლისური გახდა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, 2012 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელ უცხო ენად ინგლისური ენა აბიტურიენტთა 73%-მა აირჩია, ხოლო რუსული ენა – მხოლოდ 17%-მა, 7%-მა არჩევანი გერმანულ ენაზე, 3%-მა კი, ფრანგულ ენაზე გააკეთა.

– ეს უნიკალური და უმნიშვნელოვანესი შედეგი იმ რეფორმებითაა განპირობებული, რომელიც განათლების სისტემაში ტარდება. სულ რაღაც ორი წლის წინ ინგლისური ენა აბიტურიენტთა მხოლოდ 45%-მა აირჩია, ასევე 45%-მა არჩევანი რუსულ ენაზე გააკეთა და თანაფარდობა ერთი ერთზე იყო. ინგლისური ენის პოპულარიზაციის კუთხით ესოდენ დიდი წარმატება პირველ რიგში გამოიწვია პროგრამამ „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად. – აცხადებენ განათლების სამინისტროში.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ათასობით ინგლისურენოვანი პედაგოგი ჩამოვიდა საქართველოში ამერიკიდან, კანადიდან, ავსტრალიიდან, დიდი ბრიტანეთიდან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. უცხოელმა მასწავლებლებმა ადგილობრივ პედაგოგებთან ერთად, ქართველ მოსწავლეებს ინგლისური ენა გაძლიერებულად შეასწავლეს, ისინი ასევე დაეხმარნენ ქართველ პედაგოგებს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

ეს ყველაფერი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში ინგლისური ენა დამკვიდრდა, როგორც მთავარი უცხო ენა.

– მასწავლებლების გამოცდაზე 41 ათასი მასწავლებელი დარეგისტრირდა. 30 აპრილამდე აქვთ ვადა, რომ საბუთები შემოიტანონ. – განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

შაშკინმა იმ სტუდენტებზეც ისაუბრა, რომლებსაც სწავლის თანხის გადაუხდელობის გამო სტუდენტის სტატუსი აქვთ შეჩერებული.

ტექნიკურ უნივერსიტეტთან სხვადასხვა საწავლებლის სტუდენტებმა სტატუსის შეჩერება კიდევ ერთხელ გააპროტესტეს.

სტუდენტთა ასოციაციის ინფორმაციით, საქართველოში სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო სტუდენტური სტატუსი 10 000 სტუდენტს აქვს შეჩერებული. ასოციაციის განცხადებით, მათი სტატუსის შეჩერების მიზეზი სწავლის საფასურის გადაუხდელობა გახდა.

დიმიტრი შაშკინი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი:

– ამ საკითხზე ბოლო კომენტარი მინდა გავაკეთო, მე ვნახე იმ სტუდენტების გამოსვლები. რამდენიმე სტუდენტი ცდილობს, რომ ეს პოლიტიკურ ასპექტში გადაიტანოს, მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავს. მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების ძალიან სამართლიანი სისტემა არის. ჩვენი ბავშვები უმაღლეს სასწავლებელში მხოლოდ საკუთარი ცოდნით და ნიჭით აბარებენ. მინდა შეგახსენოთ, 4 გამოცდას თუ ჩააბარებს აბიტურიენტი და მაღალ ქულებს მიიღებს, სახელმწიფო 100 პროცენტით უფინანსებს სწავლას. მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავთ იმ სტუდენტებს, რომლებიც ამბობენ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მაღალი გადასახადია. სახელმწიფო 100-პროცენტიან, 70-პროცენტიან, 50-პროცენტიან, 30-პროცენტიანი გრანტით აფინანსებს უმაღლეს განათლებას. აფინანსებს არა მდიდარი მამის შვილს ან იმ ოჯახის შვილს, რომლის დედ–მამას ნეპოტისტური კავშირები აქვს, არამედ იმ აბიტურიენტს, რომელმაც საკუთარი მონდომებითა და ცოდნით მოიპოვა გრანტი. ჩვენი ბავშვები თანაბარ პირობებში არიან. ყველა ბავშვი, რომელიც სკოლას ამთავრებს და უმაღლეს სასწავლებელში შედის, თანაბარ პირობებშია. დაფინასების საკითხი მხოლოდ ბავშვის ცოდნაზე არის დამოკიდებული. თუ იმ ბავშვებზე ვსაუბრობთ, რომლებმაც მაღალი დონის ცოდნა ვერ გამოამჟღავნეს, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს, რომ მიიღონ უმაღლესი განათლება, მთელ რეგიონში და არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მთელ ევროპაში ყველაზე დაბალი გადასახადი გვაქვს. ყველა უმაღლესი სასწავლებელი დამოუკიდებელია. ეს კერძო ბიზნესია. თუ არ მოსწონს სტუდენტს სასწავლებელი, მას ნებისმიერ სასწავლებელში შეუძლია გადასვლა. სტუდენტი თავისუფალია, მას არ მოსწონს ერთ სასწავლებელში სწავლა, გადავა მეორეში მობილობით. ნებისმიერ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, რომ გადააბაროს და უფრო მაღალი გრანტი მოიპოვოს. ახლა 5 ათასი სტუდენტი არის დარეგისტრირებული, რომ ივლისში კვლავ გადააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები და გრანტი გაიუმჯობესოს. ეს არის სამართლიანი სისტემა.

## ზაზა გოროზია: საქართველოში მიწებს ელექტრონულად შეისწავლიან



ევროკავშირის დახმარებით საქართველოში მიწებს ელექტრონულად შეისწავლიან. ეს განცხადება სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა გოროზიამ ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე გააკეთა.

მისი თქმით, ამ საკითხზე მოლაპარაკება ევროკავშირთან მიმდინარეობს. შეთანხმების შემთხვევაში მიწების ელეტრონული შესწავლა მოხდება.

მისი განმარტებით, აღნიშნული პროცედურებით დადგინდება, თუ კონკრეტული მიწის ნაკვეთზე რისი მოყვანა იქნება შესაძლებელი, ან –– როდის. მიწების ელექტრონული შესწავლის შემდეგ გლეხებს კონკრეტული ინფორმაციით შეტყობინება 3 დღით ადრე მიუვათ. საინფორმაციო ბაზა კი მსოფლიო ჰიდრომედცენტრთან იქნება დაკავშირებული.

სოფლის მეურნეობის მინისტრი იმედოვნებს, რომ ამ სიახლის დანერგვა მოსავლიანობის ხარისხსა და ოდენობას საგრძნობლად გააუმჯობებსებს.

მედიანიუსი



## ხიდაშელმა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან ივანიშვილის მიუსვლელობის მიზეზი განმარტა

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა თინათინ ხიდაშელმა დღეს ჟურნალისტებთან საუბარში ბიძინა ივანიშვილის გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ გვიდო ვესტერველესთან შეხვედრაზე მიუსვლელობის მიზეზი განმარტა.

ხიდაშელის თქმით, ივანიშვილს სურდა, რომ ვესტერველეს შეხვედრა „ქართულ ოცნებასთან“ ცალკე გაემართა. ხიდაშელის მტკიცებით, ის რომ ივანიშვილი თბილისში მყოფი გვიდო ვესტერველეს მიერ ოპოზიციასთან დაგეგმილ შეხვედრაზე არ მივიდა, პროტესტი არ არის, რადგან ამ შეხვედრას „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერები – ირაკლი ალასანია და დავით უსუფაშვილი ესწრებოდნენ.

„შეხვედრაზე დავით უსუფაშვილისა და ირაკლი ალასანიას ყოფნა სრულიად საკმარისი იყო“, – განაცხადა ხიდაშელმა.

შეგახსენებთ, რომ ივანიშვილმა „შპიგელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, „იმით, რომ ვესტერველემ იმ შეხვედრაზე მიიწვია, სადაც მასთან ერთად „ფსევდო-ოპოზიციის“ წარმომადგენლებიც უნდა ყოფილიყვნენ, ცოტა არ იყოს შეურცხყოფილი დარჩა“.

მედიანიუსი

# გელა ნიკოლაიშვილი: გიგა ბოკერია სააკაშვილის თამაშს თამაშობს

შორენა კოწოწაშვილი

## საზოგადოებამ შიში უკვე დაძლია

**რა თამაში წამოიწყო ხელისუფლებამ და რატომ ვერ გაბედავს დღეს გიგა ბოკერია დამოუკიდებელი თამაშის წამოწყებას, ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან.**



გელა ნიკოლაიშვილი

***— ბატონო გელა, რამდენად აჭრა ხელისუფლების და პირადად სააკაშვილის დალაგებული პიარი და წინასაარჩევნო ნაბიჯები ირაკლი ალასანიას მიერ უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების გახმაურების ფაქტმა?***

— თუ ხელისუფლების მიერ დალაგებული სიტუაციის აჭრაზე ვილაპარაკებთ, მე ვიტყოდი, რომ ეს სიტუაცია აჭრა ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ 7 ოქტომბერს. იმის შემდეგ არა მხოლოდ სიტუაციაა აჭრილი, თვითონ ხელისუფლებაა აჭრილი. ამას ყოველდღე ვხედავთ პრეზიდენტის თუ მისი თანაგუნდელების არაადეკვატურ გამოსვლებში. ხან, მაგალითად, კახეთში გამოსვლისას ჰიტლერივით მაგარია, ხან ისეთი ცინიკოსია სააკაშვილი, რომ ბადალი არ ჰყავს. თანაც ისეთი შეშინებულია პრეზიდენტი, რომ ვეღარ ახერხებს გამოჩნდეს საზოგადოებაში თვითდაჯერებულად. ამ პანიკურ შიშში ჩავარდნილი ხელისუფლება, როგორც ხდება ხოლმე, უშვებს დიდი შეცდომებს. 7 ოქტომბრის შემდეგ გადადგმული ყველა ნაბიჯი შეიძლება ხელისუფლებას პასივში ჩავუთვალოთ. შეიძლება სააკაშვილის ზეაქტიური და რეაქტიული კამპანია ვილაცას წარმატებულად მოეჩვენოს, მაგრამ რეალურად ამას არ მოაქვს ის შედეგები, რომელიც სჭირდება ხელისუფლებას ოქტომბრის არჩევნებისთვის. თანდათან სიტუაცია ისე ლაგდება, რომ არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით და თავის თანამოაზრეებში შიშის გრძნობას იწვევს და რალაც არაადეკვატურობის შეგრძნებას სააკაშვილის ქმედებები, არამედ უცხოელებშიც და მის ყველაზე დიდ მხარდამჭერებშიც — ამერიკელებშიც ჩვენ უკვე დავინახეთ ზოგ შემთხვევაში მინიშნებით საუბარი მის მიმართ. ზოგან კი ღიად უთხრეს, რომ მისი ქმედებები არის მიუღებელი. აქ ვგულისხმობ იგივე კონტროლის პალატის თავზეხელაღებულ ქმედებებთან დაკავშირებულ შეფასებებს. ხელისუფლებამ შეაჩერა ივანიშვილისთვის რუსეთის აგენტის იარლიყის მიწებება, უკან დაუბრუნეს ბანკიდან დაყაჩაღებული ფულიც. ანუ ზეწოლის ამ ფორმამ ვეღარ იმუშავა. ხელისუფლება დღეს რაზეც დგას, ეს არის შიში, რომელიც უნდა გადატყდეს. დარწმუნებული ვარ ივანიშვილი თავისი დინჯი, შეუვალი პოლიტიკით თანდათან უფრო მეტ ქულებს იწერს. ფაქტია, გამოჩენის შემდგომ ივანიშვილის რეიტინგმა ნოემბრის შემდგომ ცოტა დაიწია, მაგრამ ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ ეს დროებითია და რეიტინგი თანდათან იზრდება. სწორედ ეს აშინებს სააკაშვილს.

***— ხელისუფლების შიში ირაკლი ალასანიას განცხადებამაც გააძლიერა?***

— ის, რაც სამეგრელოში ხდება, ხალხის დაშინების ერთ-ერთი ფორმაა. დაუსაქმებელი ადამიანები, რომლებსაც არანაირი შემოსავალი არა აქვთ, რა თქმა უნდა, დათანხმდებიან ნებისმიერი ანაზღაურებადი საქმის კეთებას, რასაც ხელისუფლება შესთავაზებს. ყველამ იცის, რომ თუ რუსები შემოვლენ, ამ რეზერვის ბრძოლაში ჩართვის არანაირი პერსპექტივა არ არსებობს. ყველამ იცის, რომ შეიარაღებული რეზერვისტები რუსებს ვერ გაუწევენ წინააღმდეგობას და მათ დანა-ჩანგლით თუ შეაიარაღებ, როგორც ამას დავით ბაქრაძე მოგვიწოდებდა 2008 წელს, თუ ამაში ეს რეზერვისტები ვერ ივარგებენ, ფაქტია, რჩება მხოლოდ ის, რომ ისინი ხელისუფლებამ გამოიყენოს მშვიდობიანი ამომრჩევლების დასაშინებლად.

***— რატომ მაინცდამაინც ახალაიების კლანს დაავალა ხელისუფლებამ შეიარაღებული დაჯგუფებების შექმნა?***

— იმიტომ, რომ ახალაია სააკაშვილის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დასაყრდენია, თანაც შეიარაღებული რაზმების შექმნა სამეგრელოდან დაიწყო, თორემ დღეს, როგორც უკვე ინფორმაცია ვრცელდება, ყველა რაიონში ხდება ასეთი ჯგუფების ჩამოყალიბება. ახალაიები და სამეგრელო გასაგებია იმიტომ, რომ სამეგრელო მათი ,,ვოტჩინაა" — სამფლობელო, სადაც რასაც უნდათ, იმას აკეთებენ. ახალაიები იქ ყველაფერს აკონტროლებენ.

***— გამორიცხავთ, რომ ეს ადამიანები ზეწოლის შედეგად ხდებოდნენ შეიარაღებული დაჯგუფების წევრები? თუ უფრო ფულის ინტერესი სჭარბობს?***

— მე ვფიქრობ, ორივე ინტერესია. როგორც ჩანს, ხდება იმის პროპაგანდა, რომ ვინც ამ რაზმებში წავა, კარგ ტონად ითვლება, ხოლო ვინც ოპოზიციას დაუჭერს მხარს, ცუდ ტონად. ხელისუფლება აქ საკითხს ასე აყენებს: ყველაზე დიდი პატრიოტი ხელისუფლება და სააკაშვილია. შესაბამისად, ვინც მის წინააღმდეგ გამოვა, არის ქვეყნის მტერიც და არამხოლოდ სააკაშვილის. როცა ასეთი იდეოლოგია ინერგება, რომ ,,ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია", ბუნებრივია, ხალხში არის შიში.

***— ლეიბორისტების ინფორმაციით, სავარაუდოდ, ალასანიას ინფორმატორი თავად გიგა ბოკერია იყო. ორმაგი სტანდარტები იკვეთება ლიდერ ნაციონალებში?***

— არა, მე ასე არ ვფიქრობ, რომ ახლა ბოკერიამ დამოუკიდებელი თამაში დაიწყო. ის გამოვიდა და თავის სტილში შეაფასა ალასანიას განცხადება. მე ეს ბოკერიას მხრიდან თამაში არ მგონია. ძალიან ძნელია ხელისუფლების გუნდიდან ვინმემ წამოიწყოს დღეს დამოუკიდებელი თამაში მანამ, სანამ უფრო რეალურად არ გამოჩნდება, რომ მიშა უკვე წარსულია და შანსი არ აქვს პოლიტიკაში დარჩენის. სანამ ეს არ გამოკვეთილა, სააკაშვილი თავის გვერდზე არ გააჭაჭანებს ისეთ ფიგურებს, რომლებსაც შეიძლება რეიტინგი ჰქონდეთ. მე პირადად არა მგონია, რომ ბოკერიამ, რომელსაც საკმაოდ დიდი გავლენის მქონე ფიგურად ვთვლი, ამ ეტაპზე მან გაბედოს მიშასგან დამოუკიდებელი თამაშის წამოწყება. თუმცა, იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ გულში ბევრ რალაცას არ ეთანხმება და არ მოსწონს სააკაშვილის ნაბიჯებიდან. მე ბოკერიას ვიცნობ და შეუძლებელია მას მოსწონდეს სააკაშვილის ნახევრად შეშლილი გამოსვლები და სუფთა კომუნისტურ ფაშისტურ სტილში პროპაგანდისტული საშუალებების გამოყენება, მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც არა მგონია, რომ ბოკერიამ გაბედოს დამოუკიდებელი თამაშის წამოწყება.

***— როგორ შეაფასებდით სამეგრელოში ალასანიას ინფორმატორის — ჩაჩიბაიას და ,,დაიცავი საქართველოს" წევრ კახა მიქაიას დაპატიმრების ფაქტს?***

— ესეც იმ შიშით არის განპირობებული, რომელიც ხელისუფლებას აქვს და რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ახლა ბრძოლა მიდის ამაზე, შიში გადატყდება თუ დარჩება საზოგადოებაში. სააკაშვილისთვის ადამიანების დაპატიმრებების სერია იქნება ისევ ერთ-ერთი სერიოზული ბერკეტი ივანიშვილთან ბრძოლაში. როდესაც არასაკმარისად იმუშავა კონტროლს პალატის მეთოდებმა, რომელიც მხოლოდ შიშის დათესვაზე იყო გათვლილი, ხელისუფლებამ სხვა ტაქტიკას მიმართა. ახლა აქტიურად ცდილობენ ,,ქართულ ოცნებაში" თავიანთი ხალხის შეგზავნას. ასეთი ადამიანი ბევრია და განსაკუთრებით რაიონებში. მე არა ვარ ქართული ოცნების წევრი, მაგრამ რაიონებიდან ჩემი მეგობრები მაწვდიან ინფორმაციას, რომ ასეთი ფაქტები არის და ნელ-ნელა ეს დალაგდება. ანუ თავიდან ხელისუფლებამ ბრძოლის გზაზე აირჩია ჯერ პრევენცია, მერე შიში და დაპატიმრებები, მერე უკვე ადამიანების ჩახოცვაა, რასაც მე ვფიქრობ, ამერიკა არ დაუშვებს. ვფიქრობ, სწორედ ახლაა კრიტიკული მომენტი. სწორედ ახლაა გარდამტეხი მომენტი. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ მიქაიას და ჩაჩიბაიას მხარში უდგანან როგორც თანაპარტიელები, ისე საზოგადოება. ხოლო თუ ხალხმა დაინახა, რომ ეს ადამიანები მარტო დარჩნენ და მათ ხელისუფლება რასაც უნდა, იმას გაუკეთებს, ეს შიშს კიდევ უფერო გაზრდის.

***— თქვენ როგორ ფიქრობთ, გატყდა შიშის ფაქტორი საზოგადოებაში?***

— მე ვფიქრობ, თანდათან ტყდება. ამას ემატება ამერიკის პოზიციის ნელი, მაგრამ თანდათანობითი ცვლილებაც. ეს ორი ფაქტორი: გარე ზეწოლის და ადამიანებში შიშის ფაქტორის გატეხვა, უნდა იყოს ერთმანეთისკენ მიმავალი, რამაც უნდა დაანგრიოს სააკაშვილის რეჟიმი. თორემ ცალკე ვერც ერთი მათგანი ამ რეჟიმს ძვრას ვერ უზამს.

# 60-დან 65 წლამდე მამაკაცებს სახელმწიფო არ უმკურნალებს

შალვა ჯოხაძე

## რატომ არ უნდა მიიღონ დეპუტატებმა ახალი საპენსიო კანონი

ამ დღეებში საპენსიო საკითხებთან დაკავშირებული კანონპროექტები პარლამენტში მეორე მოსმენაზე უნდა გავიდეს. არასამთავრობოებს თუ საპარლამენტო უმცირესობას ამ პროექტებთან დაკავშირებით მრავალი შენიშვნა აქვთ.

როგორც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში აცხადებენ, პარლამენტი განიხილავს „სახელმწიფო პენსიის შესახებ" კანონსა და „სოციალური დახმარების შესახებ" კანონში შესატან ცვლილებებს. მათთან დაკავშირებით საიამ თავისი დასკვნა პარლამენტსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ახალ მინისტრს უკვე წარუდგინა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მკვეთრად უარყოფითად აფასებს საქართველოს მთავრობისათვის პარლამენტის კომპეტენციათა მნიშვნელოვანი ნაწილის დელეგირების ინიციატივას, რომელიც კანონპროექტშია წარმოდგენილი. კერძოდ, კანონპროექტის მიხედვით, კანონი არ დაარეგულირებს სოციალური პაკეტის მოცულობას და მას საქართველოს მთავრობა დადგენილებით განსაზღვრავს. სოციალური პაკეტის მიმღებნი მარჩენალდაკარგულები და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები იქნებიან.

— აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტს, რომელიც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა და ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული, უფრო მაღალი ლეგიტიმაცია აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ასეთი მნიშვნელობის მქონე საკითხზე. კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პარლამენტია სწორედ ის ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. შესაბამისად, ქვეყნის სოციალური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე გადაწყვეტილება სწორედ პარლამენტში უნდა მიიღებოდეს.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პარლამენტში გადაწყვეტილებების მიღების პროცედურა მეტად გამჭვირვალეა და მასში მონაწილეობისა და გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა დაინტერესებულ მხარეებს და სამოქალაქო საზოგადოებას მეტად აქვს. მისგან განსხვავებით, საქართველოს მთავრობაში გადაწყვეტილებების მიღების პროცედურა გამჭვირვალე არ არის. წინასწარ არ ქვეყნდება მთავრობის სხდომის დღის წესრიგები ან მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები, მთავრობის რეგლამენტის მიხედვით კი, მისი სხდომა, როგორც წესი, დახურულია. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ სოციალური პაკეტის მოცულობა უნდა განისაზღვრებოდეს სწორედ საქართველოს პარლამენტის და არა საქართველოს მთავრობის მიერ, — აცხადებენ საიაში.

დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია ასევე ისეთ ხარვეზებზე, როგორებიცაა საკანონმდებლო გარანტიების არარსებობა იმ პირებისათვის, რომელთაც 2012 წლის 1 სექტემბრის შემდეგ გარდაეცვლებათ მარჩენალი ან დაუდგინდებათ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, კანონპროექტში არსებული მრავალი ბუნდოვანება და ა.შ. საია მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, გაითვალისწინონ მათი რეკომენდაციები და ხელი შეუწყონ მარჩენალდაკარგული პირებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების სოციალური უფლებების ჯეროვან დაცვას.



მაგდა ანიკაშვილი

მოსალოდნელ ცვლილებებზე ბევრი პრეტენზია აქვთ ქრისტიან-დემოკრატებსაც. როგორც დეპუტატი მაგდა ანიკაშვილი აცხადებს, ამ ცვლილებებს პარლამენტის არც ერთმა წევრმა მხარი არ უნდა დაუჭიროს.

მაგდა ანიკაშვილი:

— საპენსიო რეფორმა და საპენსიო პაკეტი, რომელიც შემოთავაზებულია ხელისუფლების მიერ, საქართველოს დაახლოებით 200 ათას მოქალაქეს სამედიცინო მომსახურების გარეშე ტოვებს. ეს არის რეალობა. თუკი მხარს დავუჭერთ შემოთავაზებულ კანონპროექტს, მაშინ 60-დან 65 წლამდე ასაკის მამაკაცები ვეღარ მიიღებენ სამედიცინო მომსახურებას, რომელიც დღეს ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების თანახმად მათთვის არის გათვალისწინებული.

ცნობილია, რომ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები ფორმალურად ემსახურება ადამიანებს, რეალურად კი, ამ პროგრამებში არ არის გათვალისწინებული ის სხვაობა საპენსიო ასაკს შორის, რომელიც ჩვენ კანონმდებლობით გვაქვს დადგენილი. სახელმწიფო პროგრამებით დღეს საქართველოს 60 წლის ზემოთ მყოფი მოქალაქეები სარგებლობენ და არა 60 წლის ზემოთ ქალბატონები და 65 წლის ზემოთ მამაკაცები, როგორც ეს წესით უნდა ყოფილიყო. თუ ჩვენ მივიღებთ საპენსიო პაკეტს ისეთი ფორმით, როგორც პარლამენტში ახლა არის წარმოდგენილი, სექტემბრიდან ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისს მიიღებენ ქალბატონები 60 წლის ასაკის ზემოთ და მამაკაცები 65 წლის ასაკის ზემოთ. შესაბამისად, 60-დან 65 წლის ასაკამდე მამაკაცები, დაახლოებით 200 ათასი ადამიანი, სამედიცინო მომსახურების გარეშე დარჩება. საუბარია პირველადი ჯანდაცვის ობიექტებში ამბულატორიულ მომსახურებაზე, საუბარია ურგენტულ, ანუ გადაუდებელ პროგრამაზე, იმ მნიშვნელოვან ექვს დღეზე, რომელიც რეანიმაციულ განყოფილებებში დღეს არის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული. ასევე, საუბარია კარდიოქირურგიის სახელმწიფო პროგრამაზე და ონკოლოგიური დაავადებების სახელმწიფო პროგრამაზე.

ანიკაშვილის განცხადებით, მეოთხე წელია, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა ონკოლოგიისა და კარდიოქირურგიის პროგრამებში ასაკობრივი ზღვარის დაწევას ითხოვს. მისი თქმით, ამას პროფესიონალთა გუნდთან ერთად, სტატისტიკაზე დაყრდნობით აცხადებენ.

— მიგვაჩნია, რომ ორივე ეს დაავადება არის მნიშვნელოვნად გაახალგაზრდავებული და რაც მთავარია, ეს არის ორი დაავადება, რომელიც ყველაზე ხშირად ხდება საქართველოში ადამიანების გარდაცვალების მიზეზი.

არათუ ამ დათმობაზე არ მოდის ხელისუფლება და არ ითვალისწინებს ჩვენს მოთხოვნებს, არამედ კარდიოქირურგიის შემთხვევაში მდგომარეობა უარესდება. გამოდის, რომ მამაკაცებისთვის ეს ასაკობრივი ზღვარი 5 წლით აიწევს. რეალურად, ეს ყველაზე კრიტიკული ასაკია. როდესაც მე გავიარე კონსულტაციები პროფესიონალებთან, მათ მითხრეს, რომ 60-დან 65 წლამდე ეს არის ის ასაკი, როდესაც დაავადებათა გართულების რისკი მამაკაცების შემთხვევაში ყველაზე დიდია. ამიტომ, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რომ ჩვენ შევცვალოთ ეს გადაწყვეტილება.

როდესაც მთავრობა პარლამენტს ასეთ რამეს სთავაზობს, არც ერთმა დეპუტატმა მას მხარი არ უნდა დაუჭიროს, არ აქვს მნიშვნელობა, რომელ პარტიას წარმოადგენს ის. ასე რომ, ჯერ კიდევ არის დრო, შევცვალოთ გადაწყვეტილება. არის ორი გზა, ერთი, რომ მოვთხოვოთ მთავრობას, დააზღვიოს მამაკაცები 60 წლიდან და ამ 200 ათასმა ადამიანმა სექტემბრიდან მიიღოს პოლისები, ან შენარჩუნდეს მათთვის სახელმწიფო პროგრამები და ყველას ჰქონდეს ის მომსახურება, რომელიც მათთვის არის გათვალისწინებული,— ამბულატორიული მომსახურება, კარდიოქირურგია, ონკოლოგია, ურგენტული დახმარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ პირველი სექტემბრიდან 200 ათას მოქალაქეს დავტოვებთ სამედიცინო მომსახურების გარეშე, — აცხადებს მაგდა ანიკაშვილი.

# რა ხდება მოზარდ მაყურებელთა თეატრში?

ეკა ირემაშვილი

**ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში რეორგანიზაცია გრძელდება, რომელიც კვლავაც თანამშრომელთა დათხოვნით დასრულდა. ამჯერად თეატრის მმართველმა მიხეილ ანთაძემ სამსახურიდან 40 თანამშრომელი გაათავისუფლა.**



მოზარდ მაყურებელთა თეატრის მმართველმა თანამშრომლები გასულ წელსაც გაათავისუფლა, რასაც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის გიგა ლორთქიფანიძის საკმაოდ ხმაურიანი განცხადებები და საბოლოოდ თეატრიდან წასვლა მოჰყვა. ამჯერად თეატრის მმართველმა კიდევ 40 თანამშრომელი გაათავისუფლა. მოზარდ მაყურებელთა თეატრში თანამშრომლების სამსახურიდან გაშვების ფაქტს ადასტურებენ. მათი განმარტებით, გაშვებული 40 თანამშრომლიდან 27 მსახიობია. მომხდარის მიზეზად რეორგანიზაციის პროცესი სახელდება, რომელიც თეატრში გასული წლის ზაფხულში დაიწყო. როგორც მოზარდ მაყურებელთა თეატრი აცხადებს, ამით თეატრში რეორგანიზაცია დასრულებულია.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის დათხოვნილი თანამშრომლები ამბობენ, რომ მას შემდეგ, რაც თეატრში არსებული დარღვევების შესახებ მსახიობთა ნაწილმა 34 მსახიობის ხელმოწერით კულტურის მინისტრს, ნიკოლოზ რურუას განცხადებით მიმართა, ისინი თეატრის მმართველმა დაითხოვა. ამჟამად თეატრის ფოიეში დაცვის თანამშრომლები დგანან და თანამშრომლებს ახალ საშვებს სთხოვენ. 23 მარტიდან თეატრიდან გაშვებულ თანამშრომლებს კი შენობაში ახალი საშვების გარეშე შესვლის უფლება აღარ აქვთ.

თეატრის დათხოვილ თანამშრომელთა შორის 27 მსახიობია, მათ შორის საქართველოს დამსახურებული არტისტები, საერთაშორისო ფესტივალებისა და პრემიის ლაურეატები, ღირსების ორდენის კავალერები. მსახიობები აცხადებენ, რომ ისინი თეატრიდან ყოველგვარი ახსნა განმარტებების გარეშე გაუშვეს.

მსახიობმა ელენე მაცხონაშვილმა სოციალურ ქსელში „ფეისბუქი“ საკუთარ კედელზე გაავრცელა ინფორმაცია ყველა იმ დარღვევაზე, რაც მოზარდმაყურებელთა თეატრში ხდება. როგორც გაირკვა, თეატრს მიღმა დარჩნენ ის მსახიობები, ვინც ელენეს სტატუსი მოიწონა.

რაც შეეხება კონკრეტულად დარღვევებს, ის მსახიობთა თქმით, სხვადასხვა საკითხში ვლინდებოდა – ხელფასების გაუცემლობიდან, რომელიც 2010 წლის ორი თვის და 2011 წლის ოთხი თვის ხელფასებს შეეხება არანაკლები პრობლემაა ნეპოტიზმიც. 2012 წლის იანვარში თეატრმა მსახიობებთან ახალი შრომითი ხელშეკრულება გააფორმა, რომლის თანახმად, მსახიობებს ხელფასის ოდენობა გაეზარდათ, თუმცა გაზრდილი ხელფასი მათ მხოლოდ იანვრის თვეში აიღეს.

მიხეილ ანთაძე მოზარდ მაყურებელთა თეატრს 2007 წლიდან ხელმძღვანელობს. მსახიობები მას თეატრის რეპერტუარის დაქვეითებაშიც ადანაშაულებენ. მათი თქმით, თეატრის სცენაზე ახალმა მმართველმა ე.წ. „ზღაპრის თეატრის“ მდარე ხარისხის „სპექტაკლები“ გადაიტანა, რომლებსაც თეატრის დოკუმენტაციაში „პრემიერებად“ აფორმებდა. მიხეილ ანთაძის მიმართ მორიგი დანაშაული მის მიერ თეატრში თანამშრომლების ნათესაურ-მეგობრული ნიშნით დანიშვნაა. გარდა ამისა, დღეისთვის მოზარდ მაყურებელთა თეატრში მუშაობს მიხეილ ანთაძის სამივე შვილი, მეუღლე, მეუღლის დისშვილი, მეუღლის და და კიდევ რამდენიმე ნათესავი. თეატრიდან გაშვებული თანამშრომლები იმასაც ამბობენ, რომ მიხეილ ანთაძემ მათ ბიძინა ივანიშვილის საერთაშორისო ფონდ „ქართუდან“ დანიშნული ფულადი დახმარების მიღება აუკრძალა. ეს იმ დროს, როცა ბიძინა ივანიშვილის ფონდიდან ფულადი დახმარების მიმღებთა სიაში თავად მიხეილ ანთაძე და მისი მოადგილე ნინო პავლიაშვილიც არიან. მოზარდ მაყურებელთა თეატრის მმართველს ერთი წლის მანძილზე მიღებული აქვს 11.400 ლარი, ხოლო მის მოადგილეს – 9.600 ლარი. ამ დროისთვის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მმართველი მიხეილ ანთაძე ჟურნალისტებისთვის ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებს. ის სატელეფონო ზარებს არ პასუხობს.

როგორც მიხეილ ანთაძის მოადგილემ ნინო პავლიაშვილმა გვითხრა:

– ბატონი მიხეილი თეატრში არ იმყოფება, ამიტომ მასთან დაკავშირება ვერ შეძლებთ.

***– იქნებ თქვენ გააკეთოთ კომენტარი მომხდართან დაკავშირებით?***

– ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით, უმჯობესია მოგვიანებით შემეხმიანოთ და ჩამოვყალიბდები.

***– რამდენიმე დღეში?***

– არ ვიცი, ვერც ამაზე გიპასუხებთ.

**P.S.** ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ მთავრობის სხდომის დაწყებამდე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თეატრის თანამშრომელთა პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებაზე ინფორმაცია არ აქვს.

– ნამდვილად არ მაქვს ინფორმაცია, რომ ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან 40 თანამშრომელი ბანკ „ქართუსთან“ ხელშეკრულების გაგრძელების გამო პოლიტიკური ნიშნით დაითხოვეს. ასეთ გადაწყვეტილებებს თეატრის დირექტორი თავად იღებს. მას ყველანაირი უფლება აქვს, რომ ეს გააკეთოს. თუ რაიმე კანონდარღვევა ხდება, ამისათვის სასამართლო არსებობს, – განაცხადა ნიკოლოზ რურუამ.

# ჯონ მალკოვიჩი საგანგებო განცხადებას ავრცელებს

ეკა ირემაშვილი

მსოფლიოს თეატრალურმა სამყარომ 2012 წელს უკვე 50-ედ აღნიშნა თეატრის საერთაშორისო დღე. მსოფლიოს თეატრალურ სამყაროს ამ დღეს ამცნობენ სპეციალურ გზავნილს, რომელსაც თეატრალებს აცნობენ.

ტრადიციის თანახმად ამ დღისადმი მიძღვნილ ყველა ღონისძიებაზე კითხულობენ

სპეციალურ საერთაშორისო გზავნილს. წელს ამ მიმართვის ავტორი საქართველოსთვის და ჩვენი თეატრალებისთვის უკვე კარგად ცნობილი ჯონ მალკოვიჩი გახდა, რომელიც გასულ წელს თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე სპეციალური სპექტაკლით ჩამოვიდა და ქართველი მაყურებლისთვის რუსთაველის თეატრში ითამაშა.

როგორც ჯონ მალკოვიჩის საგანგებო მიმართვაშია აღნიშნული:

– თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტმა და იუნესკომ მომმართეს თხოვნით, დამეწერა თეატრის მსოფლიო დღის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მიმართვა. ჩემთვის ეს დიდი პატივია. მოკლე გზავნილით მივმართავ ჩემს კოლეგებს – არტისტებს, ჩემს პარტნიორებსა და მეგობრებს. ვისურვებდი, რომ თქვენი ხელოვნება ძლიერი და ორიგინალური იყოს, ამავე დროს იყოს ღრმა და გულისხმიერი, გააზრებული და განსაკუთრებული. ვისურვებდი, რომ ჩვენმა ხელობამ გამოხატოს და ნათელჰყოს, რას ნიშნავს იყო ადამიანი. ვისურვებდი, რომ ეს განსჯა გულის სიღრმიდან მოდიოდეს, იყოს ალალი, სიწმინდითა და სათნოებით სავსე. ასევე მსურს, რომ თქვენ შეძლოთ წინააღმდეგობის, ცენზურის, სიღარიბისა და ნიჰილიზმის დაძლევა, რომელთაც ბევრი ჩვენგანი აუცილებლად გადაეყრება. ვისურვებდი, რომ ღმერთმა უხვად დაგაბერტყოთ ნიჭი და შორსმჭვრეტელობა – რათა დაგვანახვოთ ადამიანის გულისცემა მთელი თავისი სირთულით. ჩემი დიდი სურვილია თითოეულ ჩვენგანს გვქონდეს საკმარისი თავმდაბლობა და ცნობისმოყვარეობა, რომ ეს თქვენი ცხოვრების საქმედ ვაქციოთ. ვისურვებდი, რომ თქვენთაგან საუკეთესოებმა – და მხოლოდ საუკეთესოებმა თქვენს შორის იმ განსაკუთრებულ და ხანმოკლე წუთებში – მოახერხონ და განსაზღვრონ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი: „როგორ ვცხოვრობთ?“ გულწრფელად გისურვებთ წარმატებებს. პატივისცემით, ჯონ მალკოვიჩი.

საქართველოში თეატრის საერთაშორისო დღე სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით აღნიშნა. გორის თეატრში რეჟისორმა გიორგი შალუტაშვილმა მაყურებელს პრემიერა შესთავაზა. თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გიორგი ერისთავის სახელობის თეატრმა ნილ საიმონის „სექტემბრის თოვლი“ წარმოადგინა. ორმოქმედებიანი სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება ია საკანდელიძეს ეკუთვნის, მთავარ როლებში კი ბაჩო ქაჯაია და ნათია მელაძე მონაწილეობენ.

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში ეი თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ფესტივალი „თეატრს პლუს ვიდეო“ გაიხსნა. ფესტივალზე ერთი კვირის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნის თეატრალური დასების სპექტაკლებისა და წარმოდგენების ვიდეოჩვენებები მოეწყობა.

– დღეს ბევრი რამ ხდება მსოფლიოში კულტურული თვალსაზრისით, ყველა სპექტაკლის ნახვა კი ქართველ მაყურებელს არ შეუძლია, ამიტომ გვინდოდა ალტერნატიული სივრცე შექმნილიყო, სადაც მაყურებელი ნახავდა სხვადასხვა ქვეყანაში დადგმულ სხვადასხვა სპექტაკლს. რუსთაველის თეატრში ტარდება ფესტივალი „თეატრს პლუს ვიდეო“, რომელიც თეატრის

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## ფოთისა□და□ხობის□მიტროპოლიტ□გრიგოლის□კურთხევით 2009□წლის□ივლისიდან□მიმდინარეობს□ხობის□მონასტრის უძველესი□ტაძრის□სარესტავრაციო-აღდგენითი□სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯჰტრდბჰბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 fy lfhtrjs5 vfusb7 ]tjctkb7 ,bkfbyb 2 &)) ^)&9 f[fkb mctkt,b 2 &)) ^)*9 cbkmytnb 2 ^)* ^)* ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

- მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრი კარკასი, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, რკინის კარით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით. შესაძლებელია განვადება. ფასი 30.000 დოლარი. ტელ.: 8-790-55-58-62, 577-42-41-22. გიორგი.
- სოფ. ასურეთში 170კვ.მ გასარემონტებელი სახლი, 800კვ.მ მიწის ნაკვეთით, ხეხილით და ვაზის ტალავერით. ბოლო ფასი: 15000 დოლარი. ტელ.: 8-790-55-58-62,577-42-41-22.
- საგარეჯოში სახლი, რუსთაველის ქუჩაზე. ფასი: 10.000 დოლარი. ტელ.: 595-47-85-55.

## უფ\ყნ[ფლტ,ტ,ბ

- იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკისა და რაოდენობის ფოთლოვან და წიწვოვან ხე-მცენარეთა ნერგები, ფასი 5-დან 50 ლარამდე. დავეხმარებით აგრეთვე დეკორატიული კუთხეების მოწყობასა და მის გამწვანებაში. ტელ: 599-15-67-28; 2-36-28-78.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.
- იყიდება ან იცვლება საკუთარი სახლი საერთო ფართით 110 კვ.მ. 1,5 ან 2-ოთახიან ბინაზე შესაბამისი თანხის დამატებით. ფასი 55.000 დოლარი. მისამართი: ნუცუბიძის I მ/რ, სახლი №5ა. ტელ: 599-41-52-29; 568-10-65-48; 232-52-29; 231-48-72.
- სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.
- იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 2000კვ. მ, შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ – 3 ლარი. ტელ:. 0790-90-32-96, 253-15-87, 568-65-74-86.
- ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.
- ვასრულებ სამღებრო სამუშაოებს უმაღლესი ხარისხით, შეღავათიან ფასებში. ტელ: 598-24-40-90; 557-41-60-91 დათო.
- ქირავდება ოროთახიანი კეთილმოწყობილი (ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, გაზისა და წყლის გამათბობლები, ავეჯი) ბინა, ვაჟა-ფშაველას II კვარტალში. ტელ: 599-103-183.

# ფაჩულიას შვიდიანები მილუოკიში



ზედიზედ მოპოვებული 4 გამარჯვების შემდეგ „ატლანტა ჰოუქსმა“ წააგო. ჯორჯიული კლუბის შედეგიანი სერიის წამხდენი „მილუოკი ბაქსი“ აღმოჩნდა, რომელმაც საკუთარ მოედანზე დაძაბულ ბრძოლაში 108:101 იმარჯვა.

გადამწყვეტი მეოთხედის წინ ატლანტელები 1 ქულით იგებდნენ, თუმცა ბოლო პერიოდი 22:30 დათმეს და საბოლოოდ დამარცხდნენ კიდეც. შეიძლება ითქვას, რომ ატლანტელებს ძალა აღარ ეყოთ. სამ დღეში ზედიზედ ჩატარებული სამი მატჩის შემდეგ „ქორებმა“ ერთი დღე დაისვენეს და მილუოკიში „ბაქსთან“ სათამაშოდ ჩაფრინდნენ. 3 პერიოდი ყოჩაღადაც იომეს, მაგრამ...

ქართველმა ცენტრმა ნორმალურად ითამაშა. ფაჩულია ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანი 7 ქულით, 7 მოხსნით, 1 პასით და 1 ჩაჭრით დატოვა. ზაზამ მოედანზე მთლიანობაში 32 წუთი გაატარა და 5-დან სამ ორქულიანთან ერთად ორიდან ერთი საჯარიმოც ჩააგდო.

შესანიშნავად ითამაშა ჯოშ სმიტმა, რომელმაც ატლანტელებს 30 ქულასთან ერთად 18 მოხსნა, 5 პასი და 2 ჩაჭრა მოუტანა, თუმცა მას სათანადოდ მხარი ვერ აუბა ჯო ჯონსონმა, რომლის უნიათო გარჯის ბრალი იყო, ატლანტელებმა რომ ვერ იმარჯვეს.

30 მოგება და 21 მარცხი – ატლანტელთა ეს შედეგი აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-6 ადგილის ტოლფასია. ჩაუქობს „ინდიანა“, რომელიც მე-5 ადგილს ხან უთმობს და ხანაც ართმევს ატლანტელებს. „ქორებს“ არც ამჯერად აქვთ შესვენება და დღეს დილით უკვე შინ „ჩიკაგოს“ უმასპინძლებდნენ.

# ქართველებმა უელსში მეორედ იმარჯვეს

### უელსი 15 - საქართველო ა 32:36

**უელსი 15:** გრენტ ოდრისკოლი, რიჩარდ კარტერი, მეთიუ ჯაკობსი, სკოტ ვილიამსი, ლი რისი, სტივენ ჯოუნზი, დევიდ პრიტჩარდი; მორგან ალენი, ჯეიმს დევისი, ბენ ტომასი, ჰედენ პიუ, ადამ პაუელი, მარკ ჯოუნზი, გევინ პრაისი, რიჩარდ კორნოკი

**მარქაფა:** ენდრიუ ბრაუნი, ვილ ტეილორი, რაიან ჰარფორდი, სემ კაილი, კრის დევისი, ჯიმი დევისი, ჯეისონ ჰარისი

**საქართველო ა:** საბა ნიკოლავა, ზურაბ ძნელაძე, ირაკლი ჩხიკვაძე, გიორგი ჯიმშელაძე, ლექსო გუგავა, ირაკლი გეგენავა, გიორგი კაჭარავა; ირაკლი მირცხულავა, შალვა მამუკაშვილი, გიორგი მენაბდიშვილი, მიხეილ გაჩეჩილაძე, დავით ჩიტიძე, ბექა ბიწაძე, გივი ბერიშვილი, გიორგი ტყეშელიაძე

**მარქაფა:** ბექა მეკოკიშვილი, ლევან ჩილაჩავა, ჯაბა კიკვიძე, გიორგი თხილაიშვილი, ალექსანდრე ნიჟარაძე, გიგა გაგოშვილი, ბექა ურჯუკაშვილი

ბრიტანულ ტურნეზე მყოფმა საქართველოს მორაგბეთა „ა“ ნაკრებმა მეორე საკონტროლო მატჩი გამართა და ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა. შეგახსენებთ, რომ პირველ შეხვედრაში ბორჯღალოსნებმა ინგლისური დაბალი ლიგის წარმომადგენელი „ეშერი“ 25:8 დაამარცხეს, ახლა კი გაცილებით ძლიერი მეტოქე – უელსური პრემიერლიგის ნაკრები ხუთჯერ დაალელოვეს და სანახაობრივ მატჩში 36:32 იმარჯვეს

პირველი ტაიმის 25-ე წუთისთვის ჩვენმა მორაგბეებმა ორი ლელოს გატანა მოახერხეს და 14:12-ს იგებდნენ. ლელოები პირველხაზელმა შალვა მამუკაშვილმა და მეორეხაზელმა დავით ჩიტიძემ მიითვალეს, რომლებიც ორივეჯერ ფულბეკმა საბა ნიკოლავამ გარდასახა.

სამწუხაროდ, ქართველი მორაგბეები ხშირად ჯარიმდებოდნენ. მასპინძლებმა 28-ე წუთზე მეხუთე საჯარიმო გაგვიტანეს და ანგარიშში დაწინაურდნენ – 15:14.

პირველი ნახევრის დასკვნით ათ წუთში კაცნაკლულმა მოგვიწია თამაში – ჩხუბისთვის მოედნიდან ათი წუთით პირველხაზელი გიორგი მენაბდიშვილი გააძევეს. რიცხობრივი უპირატესობით უელსელებმა ისარგებლეს და ლელო გაგვიტანეს. მათ არც გარდასახვა გასჭირვებიათ – 22:14.

ტაიმის მიწურულს ჩვენმა მორაგბეებმა მაინც იძალეს და უელსის კლუბების ნაკრები ცხრა ნომერმა გიორგი კაჭარავამ მესამედ დაალელოვა, ნიკოლავამ ესეც გარდასახა და პირველი ტაიმი ჩვენებმა ქულით წააგეს – 21:22.

შესვენების შემდეგ უელსელებმა მალევე კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანეს და ანგარიშში ოთხი ქულით დაწინაურდნენ – 25:21.

ამის შემდეგ სათამაშო უპირატესობას მთლიანად საქართველოს ა ნაკრები დაეუფლა და ზედიზედ ორი ლელოს გატანა შეძლო. თავი შუამარბმა ირაკლი ჩხიკვაძემ და შეცვლაზე შესულმა მეორეხაზელმა ჯაბა კიკვიძემ გამოიჩინეს. ნიკოლავამ მხოლოდ ერთი გარდასახა – 33:25.

მატჩის დასრულებას ექვსი წუთი აკლდა, როცა უელსელებმა მეორე ლელო გაგვიტანეს და ანგარიში მინიმუმამდე შეამცირეს – 32:33. ორიოდ წუთში კი ნიკოლავამ საჯარიმო გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 36:32.

**მატჩის შემდეგ კომენტარი გააკეთა უელსელთა მწვრთნელმა უეინ ჰოლმა:**

– პრემიერლიგის მოთამაშეებისთვის ეს დიდი გამოცდა გახლდათ. ამ თამაშმა გამოაჩინა, რომ ჩვენს ლიგაში ბევრი ნიჭიერი მორაგბეა. ტრიბუნებზე შეკრებილი ათასი ქომაგის დახმარებითა და ბოლო წუთებზე გატანილი ლელოს წყალობით, დრამატული ფინალი ვიხილეთ, თუმცა, გამარჯვება მეტოქეს დარჩა. საქართველოს „ა“ ნაკრებმა მაღალი დონის თამაში აჩვენა, რითაც გამოჩნდა, ამ ქვეყანაში რაგბი როგორაა განვითარებული.

ბორჯღალოსნები ბრიტანული ვოიაჟის დასკვნით მატჩს 31 მარტს ჩაატარებენ. ქართველი მორაგბეები ქონვიში ჩრდილოეთ უელსის პრემიერლიგის ნაკრებს დაუპირისპირდებიან და თუკი ამ ჯახშიც იმარჯვეს, ტურნეს სრული ტრიუმფით დაასრულებენ. და ერთიც. საქართველოს „ა“ ნაკრებთან ერთად, ბრიტანეთში ეროვნული გუნდის მწვრთნელები მილტონ ჰეიგი და ქრის გიბსიც იმყოფებიან და უეჭველია, რომ თავისთვის არაერთ საინტერესო მორაგბესაც მონიშნავდნენ.

# გადადებული მატჩების ნაწილი დღეს გაიმართება

**დღეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატების გადადებული მატჩები გაიმართება და ორი მათგანი დიდ ინტერესს იწვევს. თბილისში „დინამო“ ბოლო დროს მოძლიერებულ გორის „დილას“ დაუხვდება, ხოლო „ზესტაფონი“ ქუთაისის „ტორპედოს“ უმასპინძლებს.**



### დინამო(თ) – დილა

**თბილისი. დინამო არენა**

გორელები საქართველოს ყველაზე ტიტულოვან გუნდს ახალი მწვრთნელით ეწვევიან. ფოთის „კოლხეთთან“ ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ გუნდის ხელმძღვანელობამ თემურ მახარაძე მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლა. მის ნაცვლად კი კლუბი საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს“ მთავარ მწვრთნელს, თემურ შალამბერიძეს ჩააბარეს, რომელსაც ასისტენტობას საშემოდგომო ეტაპზე გორელთა უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი გია ცეცაძე გაუწევს.

– „დილა“ 8 საუკეთესო გუნდში ბოლო მომენტში მოხვდა. ჩემპიონატის მეორე ეტაპზე პლეი-ოფში ჩატარებული სამი შეხვედრიდან, ორი ფრედ დაასრულა და ერთიც მარცხით დამთავრდა, რაც რასაკვირველია, კლუბის მესვეურების გეგმებში არ შედის, – წერია „დილას“ ვებგვერდზე.

როგორც იცით, „დილას“ სპონსორი შინაგან საქმეთა სამინისტროა, უშუალოდ კი გუნდს დაცვის პოლიცია კურირებს. 27 მარტს ამ სამსახურის ხელმძღვანელები „დილას“ ფეხბურთელებს შეხვდნენ და ახალი მთავარი მწვრთნელი, თემურ შალამბერიძე თავის ასისტენტთან, გია ცეცაძესთან ერთად წარუდგინეს.

ხო, გორელები „დინამოს“ ერთი დანაკლისით ეწვევიან – „კოლხეთთან“ მატჩში ტრავმა მიიღო და ამის გამო მატჩს ზურაბ არზიანი გამოტოვებს.

გორელებს დანაკლისით დაუხვდება „დინამოც“, რომელმაც წინა მატჩი სტუმრად ქუთაისის „ტორპედოსთან“ ფრედ 1:1 ითამაშა. აღნიშნული თამაშის მსვლელობისას დინამოელთა ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი მერებაშვილმა უწყინარ სიტუაციაში ტრავმა მიიღო და პირველივე ტაიმში მოუხდა მოედნის დატოვება. როგორც გაირკვა, მერებაშვილს ბარძაყის უკანა კუნთი აქვს გაწყვეტილი და სეზონის ბოლომდე მოედანზე გასვლას ვეღარ შესძლებს.

### ზესტაფონი – ტორპედო

**ზესტაფონი. დავით აბაშიძის სახელობის სტადიონი**

იმერული დერბი ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს, თუმცა ბოლო პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა. მიზეზი მარტივია – ორივე გუნდი საკმაოდ ამბიციურია და მაღალი მიზნებისთვის იბრძვის. ზესტაფონელთა მიზანი ამჯერადაც ჩემპიონობაა და შინ ქულების განიავება მისთვის არასასურველი იქნება, ხოლო „ტორპედო“ სამეულში მოსახვედრად იბრძვის და ყოველ ქულას მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

გუნდები საბრძოლო შემადგენლობით ხვდებიან მატჩს. უფრო მოძლიერებული „ზესტაფონია“, რომლის ლაზარეთიც რამდენი გამოჯანმრთელებული ფეხბურთელით დაცარიელდა.

### კოლხეთი – ბაია

**ფოთი. ცენტრალური სტადიონი**

ამ გუნდებმა თავიანთი საქმე მოილიეს – ორივე 8 საუკეთესო გუნდში მოხვდა და ახლა ზედმეტი ამბიციები არ აწუხებთ. თუმცა, მეგრული დერბიც არანაკლებ საინტერესოდ მიმდინარეობს და გამონაკლისი არც ეს მატჩი უნდა იყოს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 17 | 11 | 4 | 2 | 31:14 | 37 |
| 2.მეტალურგი | 18 | 10 | 2 | 6 | 26:21 | 32 |
| 3.დინამო | 17 | 7 | 5 | 5 | 31:24 | 26 |
| 4.ტორპედო | 16 | 7 | 4 | 5 | 18:14 | 25 |
| 5.ბაია | 17 | 5 | 5 | 7 | 14:21 | 20 |
| 6.დილა | 17 | 4 | 5 | 8 | 17:19 | 17 |
| 7.კოლხეთი | 17 | 3 | 7 | 7 | 9:20 | 16 |
| 8.მერანი | 17 | 4 | 2 | 11 | 15:28 | 14 |

**ბომბარდირები:** ჯაბა დვალი (ზესტაფონი) – 14 ბურთი; ჩისკო (დინამო) – 12; დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) – 10; რევაზ გოცირიძე (ტორპედო) – 8;

უამინდობის გამო გადადებული მატჩები გაიმართება უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლ გუნდებს შორის. ცხადია, ქვედა რვიანში არანაკლებ საინტერესო მატჩები გაიმართება, რადგან აქ რვავე გუნდს ჰაერივით სჭირდებათ ქულები.

### დინამო(ბ) – სიონი

**ბათუმი. ადჯარის სტადიონი**

მასპინძლები სერიოზული დანაკლისით დაუხვდებიან მეტოქეს. ბათუმელებს დისკვალიფიკაციის გამო გუნდის ლიდერი, ვეტერანი ამირან მუჯირი და თორნიკე ბერიძე დააკლდებათ, ბოლნისელები კი სრული შემადგენლობით ეწვევიან ზღვისპირეთს.

მერცხალი – ჩიხურა

საინტერესო უნდა გამოდგეს ორი პირველი ლიგის გუნდების ჯახი. „მერცხალი“ და „ჩიხურა“ სხვადასხვა ზონებში თამაშობდნენ, ამიტომ ქვედა ლიგაში ერთმანეთს არ შეხვედრიან.

ჯერჯერობით, ორივე გუნდმა განსხვავებულად დაიწყო პლეი აუტი. „ჩიხურას“ გაცილებით კარგი სტარტი ჰქონდა, ხოლო „მერცხალს“ არათუ ქულა, ჯერ გოლიც არ გაუტანიათ და ამ ნულების შევსებას საშინაო არენაზე შეეცდებიან.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ვიტ ჯორჯია | 4 | 3 | 1 | 0 | 4:0 | 10 |
| 2.სპარტაკი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:47 | |
| 3.გაგრა | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| 4.გურია | 4 | 1 | 2 | 1 | 7:8 | 5 |
| 5.ჩიხურა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| 6.დინამო (ბ) | 3 | 1 | 1 | 1 | 1:2 | 4 |
| 7.სიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |
| 8.მერცხალი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | 0 |

# სტუმრების დღე

### ბენფიკა-ჩელსი 0:1

*0:1 კალუ (75)*

**ბენფიკა:** არტური, პერეირა, ლუიზაო, ჟარდელი, ემერსონი, აიმარი (მატიჩი 69), გარსია (ნოლიტო 81), სეზარი (როდრიგო 69), ვიტსელი, გაიტანი, კარდოსო

**ჩელსი:** ჩეხი, ფერეირა (ბოსინგვა 80), დავიდ ლუისი, ტერი, კოული, რამირესი, მეირელეში (ლემპარდი 68), მატა, მიკელი, კალუ (სტარიჯი 82), ტორესი

მატჩის პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და გუნდებმაც სახიფათო მომენტებიც თანაბრად შექმნეს.

ჯერ კარდოსოს შეეძლო გატანა, რომელიც მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ პარაგვაელმა ამით ვერ ისარგებლა და მომენტი გაანიავა. შემდეგ იყო მეირელეშის შორეული დარტყმა, რომელიც არტურმა კუთხურზე გაჭირვებით მოიგერია.

მე-2 ტაიმი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და რომ არა „ბენფიკას“ ყოფილი ფეხბურთელი, დავიდ ლუისი, ანგარიში 48-ე წუთზე გაიხსნებოდა – მთელი მატჩის განმავლობაში შესანიშნავად მოთამაშე ლუისმა ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა.

61-ე წუთზე, გატანა მატას შეეძლო, როდესაც მეკარესთან პირისპირ გასულმა არტურიც მოატყუა, მაგრამ ესპანელმა მახვილი კუთხიდან ბურთი ძელს მოარტყა. ექვს წუთში, მომენტი პორტუგალიელებს შეექმნათ, მაგრამ ჟარდელის მიერ დაახლოებით 3 მეტრიდან სახიფათოდ დარტყმული ჩეხმა მოიგერია.

მატჩის ერთადერთი გოლი 75-ე წუთზე გავიდა – მარჯვენა ფლანგზე კარგად ითამაშა ტორესმა, რომელმაც საჯარიმოში შეჭრის შემდეგ, კარის წინ მყოფ კალუ დაინახა და კოტ დივუარელმა თავდამსხმელმა მის გუნდს შემდეგ ეტაპზე გასვლის დიდებული შანსი მოუპოვა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – დავიდ ლუისი**

„და ლუჟის“ მინდორზე ლუისი თავს ისე გრძნობდა, როგორც სახლში. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან ლუისს წლების განმავლობაში აქვს „ბენფიკას“ მაისურით ნათამაშები და ყოფილ თანაგუნდელებსაც კარგად იცნობდა. ხოლო მის მიერ ცარიელი კარიდან გამოტანილი ბურთი მატჩის უმნიშვნელოვანეს მომენტად იქცა.

### აპოელი-რეალი 0:3

*0:1 ბენზემა (74), 0:2 კაკა (82), 0:3 ბენზემა (90)*

**აპოელი:** ხიოტისი, პურსაიტიდისი, ოლივეირა (კაკა 13), პაულუ ჟორჟე, ბოავენტურა, ხარალამბიდისი, მორაისი, პინტუ (სოლარი 72), ალექსანდრუ (სოუზა 46), ტრიკოვსკი, ალმეიდა

**რეალი:** კასილიასი, არბელოა, პეპე, რამოსი, კოენტრაუ (მარსელო 63), ხედირა, შაჰინი (გრანერო 84), ბენზემა, იოზილი, რონალდუ, იგუაინი (კაკა 63)

პირველ ტაიმში, თამაში მასპინძელთა ნახევარზე მიმდინარეობდა, მაგრამ სტუმრებმა მხოლოდ ერთი რეალურად სახიფათო მომენტი შექმნეს, როდესაც ბენზემამ, დაახლოებით 5 მეტრიდან, ბურთი ცარიელ კარს ააცილა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მადრიდელები ძალების დაზოგვით ცდილობდნენ შედეგის მიღებას. ამასთან, კვიპროსელები დაცვაში მედგრად იდგნენ და 74-ე წუთამდე კარგადაც ახერხებდნენ ამას. თუმცა, ძალა აღმართს ხნავსო და „რეალმა“ არამარტო გოლის გატანა, არამედ დიდი ანგარიშითაც იმარჯვეს.

ჯერ მარცხენა ფლანგიდან კაკას ჩაწოდებას ბენზემა გამოეხმაურა და ფრანგმა თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. გატანილი გოლის შემდეგ, „რეალი“ კიდევ უფრო გააქტიურდა და აპოელის კართან სახიფათო მომენტებმა იმატა. 82-ე წუთზე, მარცხენა ფლანგზე კარგად უკვე მარსელომ ითამაშა, რომელმაც საჯარიმოში შეიჭრა და კარის წინ უმეთვალყურეოდ დატოვებულ კაკას გოლი გაატანინა. 8 წუთის შემდეგ, სტუმრებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს, რასაც მარჯვენა ფლანგიდან იოზილის გადაცემა და ბენზემას მიერ დუბლის გაფორმება მოჰყვა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კაკა**

მადრიდელი კაკა და არა აპოელის ფეხბურთელი. ბრაზილიელი ვარსკვლავი მოედანზე 63-ე წუთზე შევიდა და დიდებულად ითამაშა. კარგი მოძრაობა, საგოლე პასი და გოლი – ეს ყველაფერი ნახევარ საათზე ნაკლებ დროში შეძლო. თუმცა, შეიძლებოდა ბენზემას გამოყოფაც.

# შედეგები

### ფეხბურთი

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

აპოელი-რეალი .......................... 0:3
ბენფიკა-ჩელსი .......................... 0:1

**ინგლისი. ასოციაციის თასი**

ტოტენჰემი-ბოლტონი ................. 3:1
სანდერლენდი-ევერტონი ............ 0:2

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

იფსვიჩი-მიდლსბრო .................... 1:1
ლესტერი-ნოტინგემი ................... 0:0
პიტერბრო-ვესტ ჰემი .................. 0:2
პორთსმუთი-ჰალი ........................ 2:0
კრ.პალასი-დონკასტერი ............... 1:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

მეცი-ლე მანი ............................. 0:1

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ფილადელფია-კლივლენდი ... 103:85
მემფისი-მინესოტა .................. 93:86
მილუოკი-ატლანტა ................. 108:101
*ზაზა ფაჩულია: 7 ქულა, 7 მოხსნა*
დალასი-ჰიუსტონი ................... 90:81
პორტლენდი-ოკლაჰომა ......... 95:109
ფინიქსი-სან ანტონიო ........... 100:107
გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი... 101:104

**ევროლიგა. ულების თასი**

უნიქსი-ბარსელონა .................. 56:67
მაქაბი-პანათინაიკოსი ............ 65:62

### ჩოგბურთი

**ატპ. მაიამი. ჰარდი**

მიურეი-სიმონი ...................... 6:3;6:4
როდიკი-მონაკო ...................... 5:7;0:6
ცონგა-მაიერი ......................... 6:3;6:2
დელ პოტრო-ფერერი ............. 3:6;3:6

**ვტა. მაიამი. ჰარდი**

შარაპოვა-ლი ......................... 6:3;6:0
უილიამსი!ს.-ვოზნიაცკი ........ 4:6;4:6

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-ბუფალო ................... 1:5
ნიუ ჯერსი-ჩიკაგო ............... 1:1(1:0ბ)
პიტსბურგი-აილენდერსი ............. 3;5
ტორონტო-კაროლინა .................. 0:3
ბოსტონი-ტამპა ბეი ...................... 5:2
მონრეალი-ფლორიდა ......... 2:2(0:1ბ0
მინესოტა-რეინჯერსი .................. 2:3
სენტ ლუისი-ნეშვილი ................. 3:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ნინო ანანიაშვილი იუბილარია

ეკა ირემაშვილი

ქართველი პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი იუბილარია. მას 49 წელი შეუსრულდა. მიუხედავად იმისა, რომ მოცეკვავემ გასულ კვირას აღნიშნა სცენაზე მოღვაწეობის 30 წლის იუბილე და საკმაოდ დატვირთული ღონისძიებების კვირეულიც წარმატებით დაასრულა, მეორე დღესვე საბალეტო დასი გასტროლზე გაემგზავრა.

პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი თავის ცხოვრებაში ყველაზე დიდ წარმატებად იმ შემოქმედებით გზას მიიჩნევს, რომელიც მან სამი ათეული წლის განმავლობაში განვლო. მან ბალეტის შესწავლა თბილისში 10 წლის ასაკში დაიწყო. მოგვიანებით კი მეცადინეობა მოსკოვში რაისა სტრუჩკოვასთან გააგრძელა. ნინო ანანიაშვილის სასცენო დებიუტი სასკოლო დადგმაში შედგა. მისმა განუმეორებელმა და გამორჩეულმა ცეკვის მანერამ ქართველი მოცეკვავე წამყვანი საბალეტო თეატრების ყურადღების ცენტრში მოაქცია და გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში იუბილარი ბალერინა დიდ თეატრში სოლისტად მიიწვიეს. ნინო ანანიაშვილი და ანდრის ლიეპა პირველი საბჭოთა მოცეკვავეები იყვნენ, რომლებსაც საშუალება მიეცათ, ნიუ-იორკ-სიტი ბალეტში გამოსულიყვნენ. ნინო ანანიაშვილის თავდაუზოგავმა შრომამ განაპირობა ის, რომ იგი ამერიკის საბალეტო თეატრის მთავარი მოცეკვავე გახდა, მოგვიანებით კი ამავე რანგში ჰიუსტონის საბალეტო დასს შეუერთდა.

უკვე რვა წელია ნინო ანანიაშვილი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მოწვევით, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს ხელმძღვანელობს და მათთან ერთად არათუ გასტროლებზე დადის, არამედ ახალ საბალეტო სპექტაკლებშიც აქტიურად ცეკვავს. ამჟამად საბალეტო დასი გასტროლზე მინსკსა და კიევში იმყოფებოდა.



ქართველმა მოცეკვავეებმა მინსკში, ბელორუსის ნაციონალური აკადემიური დიდი თეატრის სცენაზე ორი დღის განმავლობაში იცეკვეს. ქართველმა მოცეკვავეებმა ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამას წარმოადგინეს, სადაც გაერთიანდა ჯორჯ ბალანჩინის „მოცარტიანა“, თრეი მაკინტაერის „წამი გარდასახვამდე“, ალექსეი რატმანსკის „მანიერიზმის მშვენიერებანი“ და „ვარიაციები“.

ბელორუსის შემდეგ გასტროლი უკრაინის ტარას შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის ნაციონალურ თეატრში გაგრძელდა, სადაც მაყურებელმა ჯორჯ ბალანჩინის ბალეტებთან ერთად იური პოსოხოვის „საგალობელსაც“ იხილა. საბალეტო დასი გასტროლებიდან პრიმაბალერინას დაბადების დღემდე ერთი დღით ადრე დაბრუნდა.

ამით ქართული საბალეტო დასის გასტროლები არ სრულდება. 2012 წელი მოცეკვავეებისთვის საკმაოდ დატვირთულია. ნინო ანანიაშვილი პორტუგალიაში „დონ კიხოტის“ მისეულ ვერსიასაც დგამს. მაისში ნინო ანანიაშვილს ჩინეთში ელოდებიან, სადაც „მაკნატუნას“ დადგამს. ალბათ საზოგადოებისთვის ნაკლებად არის ცნობილი, რომ ნინო ანანიაშვილი გასულ წელს ჩინეთის აკადემიის პროფესორი გახდა, ამიტომ იქ ჩასვლა მოცეკვავეს ყოველ წელს უწევს. პარალელურად, თბილისს ამერიკელი ქორეოგრაფი გომესი ეწვევა, რომელიც საბალეტო დასთან ერთად ახალ სპექტაკლზე იმუშავებს და მისი პრემიერა გაზაფხულის ბოლოს შედგება. ქართული საბალეტო დასი კონკურსშიც ჩაერთვება – ფინეთში ბალეტის კონკურსი გაიმართება, სადაც ქართული საბალეტო სკოლაც იქნება წარმოდგენილი. თეატრალურ სეზონს ბალეტის მოცეკვავეები ივნისში დახურავენ და ერთთვიან გასტროლებზე იაპონიაში გაემგზავრებიან, სადაც ნინო ანანიაშვილის სცენაზე მოღვაწეობის 30-წლიანი იუბილე გრანდიოზულად აღინიშნება. სიმბოლურია, რომ ნინო ანანიაშვილს სცენაზე დგომის 10 წლის იუბილე გრანდიოზული ღონისძიებით სწორედ მიულოცეს იაპონიაში, 20 წლის იუბილე კი დიდმა თეატრმა აღნიშნა, თუმცა პრიმაბალერინა აცხადებს, რომ თბილისში ჩატარებული საიუბილეო ღონისძიებები ყველასგან გამორჩეული იყო.

# ოპერის თეატრში პრემიერაა

ეკა ირემაშვილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თეატრში პრემიერაა. 8 და 10 აპრილს რუსთაველის თეატრში (მცირე სცენაზე) „ოპერის მეგობართა საბჭოს“ მხარდაჭერით გაიმართება გეორგ ფრიდრიხ ჰენდელის ორმოქმედებიანი ოპერის „რადამისტოს“ პრემიერა.

როგორც ოპერის თეატრის წარმომადგენელმა ზურაბ ოიკაშვილმა გვითხრა, ოპერის დამდგმელი დირიჟორია ჯანლუკა მარჩანო, დამდგმელი რეჟისორი და სცენოგრაფი – გურამ მელივა. „რადამისტოს“ ასრულებენ ოპერის თეატრის ორკესტრი და სოლისტები – თეა დემურიშვილი (რადამისტო), ირინე თაბორიძე (ზენობია), მარიკა მაჩიტიძე (პოლისენა), ანა ცარციძე (ტიგრანე), ზაალ ხელაია (ტირიდატე), ლეგი იმედაშვილი (ფარასმანე).

– ეს ოპერა „რადამისტო“ გეორგ ფრიდრიხ ჰენდელის ერთ-ერთი წარმატებული ოპერაა, რომელიც თვით კომპოზიტორის ცხოვრებაში რამდენჯერმე დაიდგა, ყოველ ჯერზე მნიშვნელოვანი გადამუშავებით. ნიკოლა ფრანჩესკო ჰაიმის იტალიური ლიბრეტო დაწერილია დომენიკო ლალის ნაწარმოების „ტირანის სიყვარულის“ ადაპტირების საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ, ეფუძნება ჟორჟ დე სკუდერის ნაწარმოებს „ტირანის სიყვარული“. ეს ლიტერატურული წყაროები ეყრდნობა რომაელი ისტორიკოსის პუბლიუს (გაიუს) კორნელიუს ტაციტუსის მიერ აღწერილ ამბავს იბერიელი უფლისწულის – რადამისტისა, რომელიც ცხოვრობდა თითქმის 2000 წლის წინათ, ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში. ტაციტუსის მიერ გადმოცემული ამბავი ოპერის ლიბრეტოში საფუძვლიანად გადახალისებულია, შეცვლილია მისი სიუჟეტიც და მოქმედების ინტრიგაც – სამეფო ტახტისთვის ბრძოლის ისტორია სასიყვარულო ისტორიით არის ჩანაცვლებული, – განმარტა ზურაბ ოიკაშვილმა.

ჰენდელის ოპერის „რადამისტოს“ პრემიერა ლონდონში 1720 წლის 27 აპრილს შედგა.

2007 წელს თბილისის ოპერის თეატრისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერთობლივი ძალისხმევით დაიდგა ჰენდელის „რადამისტო“ – ადაპტირებული ვარიანტი სოლისტებისა და ჩემბალოსთვის.

– ეს წარმოდგენა ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო პროექტის (პროექტის ავტორი – გურამ მელივა) დამაგვირგვინებელ ღონისძიებად მოგვევლინა. დეკორაციების ნაცვლად წარმოდგენილი იყო საგანგებოდ ამ დღისთვის მუზეუმის საცავებიდან გამოტანილი იბერიის საგანძურის ნიმუშები. ამჯერად კი ოპერა უკვე ოპერის თეატრს რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე გადააქვს და მისი პრემიერა აპრილის თვეში გაიმართება, – განმარტავს ზურაბ ოიკაშვილი.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# ჯონ მალკოვიჩი საგანგებო განცხადებას ავრცელებს

მოყვარულებს საშუალებას აძლევს, ვიდეოპროექტორის საშუალებით ნახოს ყველა ის სიახლე, რაც უცხოეთში ხდება და გაეცნოს სხვადასხვა სპექტაკლებს, – აღნიშნა ფესტივალის გახსნაზე ოპერისა და ბალეტის თეატრის მმართველმა, რეჟისორმა დავით საყვარელიძემ.

საქართველოში ეს კულტურული ღონისძიება „თეატრს პლუს ვიდეო“ 1997 წელს თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის ეროვნული ცენტრის ეგიდით დაფუძნდა. მასზე დასწრების საშუალება მსახიობებთან, რეჟისორებთან და თეატრალებთან ერთად, სტუდენტებსაც შეეძლებათ. ფესტივალზე არაერთი საინტერესო სპექტაკლის ჩვენებაა დაგეგმილი.

– ამ ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება როგორც უახლესი დრამატული სპექტაკლები, ასევე ფიზიკური და ცეკვის თეატრის ნიმუშები. რაც შეეხება იმ ქვეყნებს, რომელთა სპექტაკლების ნახვასაც შეძლებენ ჩვენი ფესტივალის სტუმრები, ისინი საკმაოდ საინტერესოდ შეირჩა – ლიტვა, საფრანგეთი, გერმანია და იტალია. ამ ქვეყნების მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებები იქნება ნაჩვენები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათი ნახვა შეეძლებათ როგორც თეატრალებს, ასევე სტუდენტებს, – აღნიშნა ხელოვნების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ლევან ხეთაგურმა.

აჭარაში კი თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხულოს სახელმწიფო დრამატული თეატრის განახლებული შენობა გაიხსნა. თეატრის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით შენობა განათების აპარატურით აღიჭურვა.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული ღონისძიებები თეატრში დილიდან დაიწყო. თეატრის ფოიეში, თეატრის ისტორიის ამსახველი ფოტომასალა გამოიფინა, ხულოს თეატრის მსახიობთა მონაწილეობით გაიმართა თეატრალიზებული წარმოდგენა და ხულოს კულტურის ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივების კონცერტი. ღონისძიებებს ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა, მინისტრის მოადგილე დავით ქირია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ მახარაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გია აბულაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ანზორ ბოლქვაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი თემურ ბოლქვაძე, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მმართველი ეკა მაზმიშვილი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე ნოდარ იაკობაძე, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მმართველი ზაზა ხალვაში, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის მმართველი მედეა ჩარკვიანი და ხულოს სახელმწიფო დრამატული თეატრის მმართველი გურამ აბულაძე.

– ხულოს თეატრი, რომელიც 75 წლისაა, თავის იუბილეს განახლებული შეეგება. დარბაზი 450 მაყურებელს იტევს, თეატრს აქვს ახალი განათება, ტექნიკა. აქ საუკეთესო პირობებია სპექტაკლის დადგმისთვის, ნებისმიერი სხვა ტიპის წარმოდგენისთვის თუ კინოჩვენებებისთვის. ორწლიანი შრომა დასრულდა და დასრულდა იგი საკმაოდ წარმატებით. დღეიდან აჭარას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი აქვს – განაცხადა კულტურის მინისტრმა ხულოში სტუმრობისას.

ხულოს თეატრის იუბილესთან დაკავშირებით, მას ამ მნიშვნელოვან თარიღს მიულოცავენ საქართველოს სხვადასხვა თეატრები – კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, ხულოში სპექტაკლებით ჩავლენ კოტე მარჯანიშვილისა და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრები, ასევე მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი. კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ხულოში რეჟისორ ცეცინო კობიაშვილის სპექტაკლის „ქალები“ ჩატანა დაიგეგმა. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი კი ხულოელ კოლეგებს იუბილეს რეჟისორ ალეკო ბლაიძის სპექტაკლით „ვგავართ ჩვენ ლტოლვილებს?“ მიულოცავს. 30 მარტს ხულოს უკვე მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი ეწვევა და წარმოადგენს სპექტაკლს ,,შენკენ სავალი გზები“, რომელიც რეჟისორმა კახა გოგიძემ ლაშა თაბუკაშვილის პიესის მიხედვით დადგა.

საერთაშორისო

# ჰოსნი მუბარაქმა სენსაციური მემუარები გამოაქვეყნა

– ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფი მთელ აფრიკაში ყველაზე სასტიკი დიქტატორი იყო, – ამის შესახებ ჰოსნი მუბარაქი წერს. ეგვიპტის ექს-პრეზიდენტი რევოლუციის შემდეგ სენსაციურ მემუარებს აქვეყნებს.

ჰოსნი მუბარაქის მტკიცებით, კადაფი საუდის არაბეთის მეფის აზიზ აზ საუდის მკვლელობას დიდი ხნის განმავლობაში გეგმავდა, თუმცა ამ საზარელ ჩანაფიქრში მუბარაქმა მას ბოლო მომენტში შეუშალა ხელი.

აღსანიშნავია, რომ ეგვიპტის პრეზიდენტს საუდის არაბეთის მეფე გასული წლის რევოლუციის დროს ბოლო მომენტამდე გვერდში ედგა. ჰოსნი მუბარაქი იმასაც აღნიშნავს, რომ მუამარ კადაფი მთელ აფრიკასა და სამყაროშიც კი უსაზღვროდ მდიდარი ადამიანი იყო და მას საზღვარგარეთ ოქროს უპრეცედენტო რაოდენობის მარაგი ჰქონდა.

ცნობისთვის, მოჰამედ ჰოსნი მუბარაქი, (უფრო გავრცელებული სახელი ჰოსნი მუბარაქი ), (დ. 4 მაისი, 1928, კაფრ-ელმუსაილაჰა, ეგვიპტე) – ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სამხედრო, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე.

ქვეყნის მეოთხე პრეზიდენტი 1981-2011 წლებში. თანამდებობა დაიკავა პრეზიდენტ ანვარ ალ-სადათის მკვლელობის შემდეგ. იგი ეგვიპტის ყველაზე ხანგრძლივად მმართველია მუჰამედ ალი ფაშას შემდეგ.

2011 წლის 11 თებერვალს ჰოსნი მუბარაქი, რომელიც ეგვიპტეს 30 წლის განმავლობაში მართავდა, გადადგა. ხელისუფლება სამხედროების ხელში გადავიდა.



hჰxცღxჰcბ ,

**შვეულად:** 2. ზღვის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 3. ნავთობის საბადო კახეთში; 4. მადის მოსაყვანი სპირტიანი სასმელი; 5. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 6. ველური ვარდი; 8. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული დიდი ხვლიკი; 11. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 14. კბილის ამოღების ოპერაცია; 15. თანამედროვე ქართველი ფოტოხელოვანი; 16. ოფიციალური მიღება სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირის მიერ; 17. კლდეში ნაკვეთი ქალაქი საქართველოში; 19. აშშ-ს ჯორჯიის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი; 21. საარყე ტიკჭორა; 22. მდინარე დუნაიას ძველბერძნული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. წიგნის სტატიის მოკლე განმარტებითი ან შეფასებითი შინაარსი; 5. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 7. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 9. დიდი მდიდრული ოფისი, ბინა; 10. გემის სამზარეულო; 12. ძველებური ფლორენციული ოქროს ფული; 13. სიმღერის საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული ბავშვთა ქართული ტრიო; 16. უბანი თბილისში; 17. დენის სიმძლავრის საზომი ერთეული; 18. ყვითელი ფერის გამჭვირვალე ფისოვანი მინერალი; 20. ქართველი ძიუდოისტი ოლიმპიური ჩემპიონი; 22. თვალის ფერადი გარსი; 23. ისტორიული ოლქი ინდოეთ-პაკისტანის ტერიტორიაზე; 24. რაიმეს შუაგული; 25. თეთრი ფერის ჭედადი ლითონი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

# ფილიპინებში ჟურნალისტის მკვლელობისთვის ექსგუბერნატორი დააკავეს

ფილიპინების სასამართლომ დღეს ცნობილი პოლიტიკოსის, ჯოელ რეიესის დაპატიმრების ორდერი გასცა.

დანაშაული გასულ წელს მოხდა და ადგილობრივი ჟურნალისტის მკვლელობას ეხებოდა.

ჟოელ რეიესი, პალავანის პროვინციის ექსგუბერნატორია, ხოლო მოკლული ჟურნალისტი, ხერარდო ორტეგა გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური პრობლემების სპეციალისტი იყო. ის პალავანში, ამ სფეროში არსებულ კორუფციასა და დარღვევებზე მუშაობდა.

მკვლელობაში დამნაშავე მალევე დააკავეს, თუმცა ამ საქმეში ჩართული მთავარი მაღალჩინოსანი თავისუფალი დარჩა.

ფილიპინები, ჟურნალისტებისთვის საშიშ ქვეყნებს შორის მეორეა.

ცნობისთვის, ფილიპინების რესპუბლიკა, ესპანეთის მეფის ფილიპ II-ის პატივსაცემად კუნძულებს ეს სახელი უწოდა ესპანელმა მოგზაურმა რ.ვილიალოვოსმა, როდესაც იგი 1542-45 წლებში თავისი ექსპედიციით გადასხდა ნაპირზე. ქვეყანამ აშშ-სგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1946 წელს.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმღც.ყც,ეჯბ hჰxცღxჰლც,ბც გფცეკც,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კოდა; 2. ასთმა; 3. აკაჟუ; 4. პეპსი; 5. კორომი; 6. სანიკიძე; 8. კრონპრინცი; 10. სანგვინიკი; 11. კაბისტონი; 14. კადიმა; 15. ერზაცი; 16. დოგმა.

**თარაზულად:** 1. კატანია; 4. პეკინესი; 7. დენთი; 9. პულსი; 12. ვირუსი 13. ფობია; 14. კომბლე; 17. ტიბეტი; 18. სფიგმოგრამა; 19. პიანინო; 20. ზაჰესი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. ორაკული; 3. ანატომია; 4. ობივატელი; 5. ლანჩი; 6. ერზაცი; 8. ბრინზა; 11. გუდრუნი; 14. ონომასტიკა; 15. ბირთვისი; 16. ალტერაციალ 17. ფაგოტი; 19. ოსტერია 21. ხიხვი; 22. იმედი.

**თარაზულად:** 1. ბოტაფოგო; 5. ლილე; 7. ქაბული; 9. მაჭავარიანი; 10. ზუგდიდი; 12. აციდოზი; 13. გრეგორი; 16. ამნერისი; 17. ფიჯი; 18. ბონზა; 20. სკალპელი; 22. იბიცა 23. რეესტრი; 24. ცაგერი 25. ვისკი.

# ირანის წინააღმდეგ სანქციები აზერბაიჯანმაც აამოქმედა

ირანის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ გამოცხადებული სანქციების გამო აზერბაიჯანმა ისლამურ რესპუბლიკას ჯართის მიწოდება შეუწყვიტა.

გაზეთ „აზადლიგის“ (თავისუფლება) მონაცემებით, სანქციები აზერბაიჯანმა გასული კვირის ბოლოდან აამოქმედა.




გამოცემის ცნობით, ჯართის დამზადებით აზერბაიჯანში კომპანია „ბაკუ სთილ კომპანიაა“ დაკავებული და მან ექსპორტი უკვე შეწყვიტა.

გაზეთის ინფორმაციით, ჯართის მიწოდება თეირანის წინააღმდეგ ამოქმედებული საერთაშორისო სანქციების ფარგლებში შეწყდა.

როგორც „აზადლიგი“ აცხადებს, აზერბაიჯანიდან მიღებულ ჯართს ირანი სამხედრო-ტექნიკურ მრეწველობაში იყენებდა.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის განცხადებით, ირანის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციები იმაზე მკაცრია, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

ამასთან, მან ხაზი გაუსვა, რომ ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით დიპლომატიური საშუალებები ამოწურული ჯერ კიდევ არ არის.

კლინტონის თქმით, საერთაშორისო საზოგადოება გაერთიანებულია იმ მოსაზრების ირგვლივ, რომ არ დაუშვას ირანის მიერ სამხედრო ბირთვული პოტენციალის შექმა.

– ჩვენ გაერთიანებული ვართ ირანზე ზეწოლის სურვილში, რათა მისი იძულება მოხდეს გაერო-ს უშიშროების საბჭოს 5 მუდმივი წევრისა და პლუს გერმანიის ფორმატში, – განაცხადა კლინტონმა.

# აშშ-ში სახის ტრანსპლანტაცია წარმატებით განხორციელდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში სახის ტრანსპლანტაციის ოპერაცია წარმატებით განხორციელდა. ამერიკელ რიჩარდ ლი ნორისს სახის გარდა კბილები და ენაც გადაუნერგეს.

ოპერაციამდე პაციენტი იზოლირებულად ცხოვრობდა. მიზეზი 15 წლის წინ მომხდარი ორმხრივი სროლები იყო, რომლის შედეგადაც ნორისს სახე სერიოზულად დაუზიანდა.

ექიმები ამბობენ, რომ რიჩარდ ლი ნორისს უკვე კბილების გამოხეხვაც შეუძლია.



ტრანსპლანტაციის ოპერაცია აშშ-ს სამხედრო საზღვაო ძალების დაფინანსებიტ ჩატარდა. სამხედროები იმედოვნებენ, რომ ანალოგიური ოპერაციების ჩატარება ავღანეთსა და ერაყში დაჭრილი ჯარისკაცებისთვისაც მოხერხდება.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, 19 წლის თურქ ბიჭს 45 წლის კაცის სახე გადაუნერგეს.

უგურ აკარმა საკუთარი სახე პირველად დაინახა. იგი 40 დღის იყო, როცა ხანძარში მოყვა და სახე დაეწვა. მას 45 წლის მამაკაცის სახე გადაუნერგეს. აკარი თავისი ახლანდელი სახით კამყოფილია და მალე ცოლის მოყვანასაც აპირებს.

ექიმები თურქ თინეიჯერს აფრთხილებენ, რომ მომავალი 6 თვის მანძილზე ემოციების გამოხატვას ვერ შეძლებს.

თურქეთში ეს სახის ტრანსპლანტაციის პირველი, მსოფლიოში კი მე-20 შემთხვევაა. პირველად ასეთი ოპერაცია 2005 წელს საფრანგეთში გააკეთეს. მაშინ ფრანგ ქალს სახე ნაწილობრივ გადაუნერგეს.

# ბაშარ ასადის კორტეჟს ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს

სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის კორტეჟი ამბოხებულების ცეცხლში მოყვა. ასადის კორტეჟს ცეცხლი მაშინ გაუხსნეს, როდესაც ის ქალაქ ჰომსში გადაადგილდებოდა. თავდასხმის გამო ასადმა ვიზიტი შეწყვიტა.

ინფორმაციას ამის შესახებ ტელეკომპანია „ალ-არაბია“ ავრცელებს. ტელეკოპანიის ინფორმაციით, ასადს ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს.

სირიის მედია ამ ინციდენტთან დაკავშირებით, ჯერჯერობით არავითარ ინფორმაციას არ ავრცელებს.

ასადმა ჰომსში დაბანაკებული სამხედროები და სამხედრო ჰოსპიტალი მონახულა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივან, ჰილარი კლინტონს სირიის პრეზიდენტის გულწრფელობაში, რომელიც აცხადებს, რომ მზადაა კოფი ანანის სამშვიდობო გეგმა მიიღოს, ეჭვი ეპარება.

როგორც უცხოური მედია წერს, კლინტონმა განაცხადა, რომ ასადის გულწრფელობის განსაზღვრა საქმით შეიძლება და არა მის მიერ გაკეთებული განცხადებებით.

– თუ გავითვალისწინებთ ასადის წარსულს, მას აქვს ნიჭი, რომ მოძებნოს გზები, რათა არ შეასრულოს დანაპირები. მშვიდობისკენ მისი მისწრაფება რეალური ნაბიჯებით უნდა იყოს გამყარებული. ჩვენ მის გულწრფელობას განვსჯით მისი მოქმედებებით და არა სიტყვებით, – განაცხადა ჰილარი კლინტონმა.

ამასთან, სახელმწიფო მდივანმა სირიის მთავრობას კოფი ანანის გეგმის ყველა პუნქტის შესრულებისკენ მოუწოდა.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, სირიის მთავრობა კოფი ანანის სამშვიდობო გეგმას დათანხმდა და კოფი ანანს ამის შესახებ წერილითაც აცნობა.



ანანის გეგმა ძალადობის დაუყოვნებლივ შეწყვეტას, ალყაშემორტმულ ადგილებზე ჰუმანიტარული დახმარების შეშვებას და მთავრობასა და ოპოზიციას შორის დიალოგს ითვალისწინებს.

ანანის წინადადებას მხარს უჭერენ გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრები, მათ შორის რუსეთი და ჩინეთი, რომლებმაც მანამდე სირიის შესახებ გაერო-ს უშიშრეობის საბჭოს რეზოლუციას ვეტო დაადეს.

ამავე დროს, მოსკოვი მიიჩნევს, რომ „სირიის მეგობართა ჯგუფი“ არა დიალოგის დაწყებით, არამედ გარედან ჩარევისთვის ნიადაგის მომზადებითაა დაკავებული. ეს განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ლუკაშევიჩმა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

– ასეთ ღონისძიებას, სამწუხაროდ, ცალმხრივი პოლიტიკური მიმართულება აქვს. მისი მონაწილეები დიალოგის დასაწყებად გზებს კი არ ეძებენ იმისათვის, რათა კონფლიქტი დასრულდეს, არამედ გარედან ჩარევისთვის ნიადაგს ამზადებენ, – განაცხადა ლუკაშევიჩმა.

მისი თქმით, მოსკოვი სტამბულში 1 აპრილს დაგეგმილ „სირიის მეგობართა ჯგუფის“ შეხვედრაში მონაწილეობას არ მიიღებს.

– ეს პირველი შეხვედრა როდია, რომელიც ჩვენი მონაწილეობის გარეშე ჩაივლის. პირველი შეხვედრა 24 თებერვალს ტუნისში გაიმართა და ამ მეორე შეხვედრაში მონაწილეობისგანაც ჩვენ თავს შევიკავებთ, – აცხადებს ლუკაშევიჩი და აღნიშნავს, რომ „ნაკლებ სავარაუდოა, იქიდან წამოვიდეს რაიმე სიგნალი სირიის ოპოზიციის მიმართ იმის შესახებ, რომ მათ ცეცხლი შეწყვიტონ“.

ამ ფონზე, გაერომ სირიაში სამოქალაქო დაპირისპირების შედეგად დაღუპულთა შესახებ მონაცემები გამოაქვეყნა. ორგანიზაციის მონაცემებით, ერთწლიანი კონფლიქტის მსხვერპლთა რაოდენობამ 9 000-ს გადააჭარბა.

უშიშროების საბჭოში გამოსვლისას, გაეროს სპეციალურმა წარმომადგენელმა ახლო აღმოსავლეთში რობერტ სერიმ განაცხადა, რომ ძალადობის ტალღა სირიაში არ იკლებს და მას ბოლო უნდა მოეღოს.

# მიტ რომნი ბარაქ ობამას კრემლისადმი რევერანსებში ადანაშაულებს

მასაჩუსეტსის შტატის ყოფილი გუბერნატორი და პრეზიდენტობის კანდიდატი, „რესპუბლიკელი“ მიტ რომნი აშშ-ის პრეზიდენტ ბარაქ ობამას კრემლისადმი რევერანსებში ადანაშაულებს.

როგორც ჟურნალ ფორინ პოლისში გამოქვეყნებულ სტატიაში რომნი აცხადებს, ნათელია, რომ „გადატვირთვის“ პოლიტიკა ობამასთვის სწორედ ამას ნიშნავს.

„უიშვიათესი მორჩილების“ მაგალითად პრეზიდენტობის „რესპუბლიკელი“ კანდიდატი ბარაქ ობამას მიერ ვლადიმერ პუტინისთვის არჩევნების პირადად მილოცვას ასახელებს.

– ეს არჩევნები ბევრმა უსამართლოდ ჩათვალა. ისეთი ქცევები კი, როგორსაც აშშ-ის პრეზიდენტი ამჟღავნებს, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში ამერიკის ერთგულების დაცინვაა, – აცხადებს მიტ რომნი.

მასაჩუსეტსის შტატის ყოფილი გუბერნატორი ობამას რუსეთის პრეზიდენტთან დიმიტრი მედვედევთან რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებთან დაკავშირებით დათმობის მზაობის გამოც აკრიტიკებს.

მისი თქმით, ობამამ ანტისარაკეტო ფარების პოლონეთში განლაგებაზე უარი ისე თქვა, რომ სანაცვლოდ რუსეთისგან რაიმე დათმობა არ მიუღია.

რომნი მოქმედ პრეზიდენტს რუსეთთან მიმართებაში მკაცრი პოზიციის არქონასაც საყვედურობს, რის გამოც, გაერო-ში ირანის წინააღმდეგ მკაცრი სანქციების დაწესება ვერ ხერხდება.

პრეზიდენტობის „რესპუბლიკელი“კანდიდატი რუსეთს სირიაში სიტუაციის სტაბილიზაციის ხელშეშლაშიც ადანაშაულებს.

– ჩვენ ვთმობთ, რუსეთი იღებს, – რომნის აზრით, ყველაზე ზუსტად ბარაქ ობამას პოლიტიკას რუსეთთან მიმართებაში ეს ფრაზა ასახავს.

ამასთან, გუშინ სი-ენ-ენთან ინტერვიუში მიტ რომნიმ რუსეთს აშშ-ის ნომერ პირველი გეოპოლიტიკური მტერი უწოდა.



„რესპუბლიკელები“ აშშ-ის პრეზიდენტ ბარაქ ობამასგან დიმიტრი მედვედევისთვის გაკეთებული რეპლიკის განმარტებას ითხოვენ, რომლის თანახმადაც არჩევნების შემდეგ მას მანევრირების მეტი სივრცე ექნება.

საუბარია ობამა-მედვედევს შორის სეულში ბირთვული უსაფრთხოების სამიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე, რომლის მთავარი თემაც რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები იყო.

ობამას სიტყვების შინაარსი, რომელიც შემთხვევით ჩართული მიკროფონის მეშვეობით გახდა ცნობილი, აშშ-ის მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს ეხებოდა.

ობამამ მედვედევს გადაულაპარაკა – „ყველა საკითხი, განსაკუთრებით კი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებისა, შესაძლებელია გადაწყდეს, თუმცა მნიშვნელოვანია მან (პუტინმა) ამისათვის სივრცე მოგვცეს“.

მედვედევი კი პასუხობს – „გასაგებია, სივრცე თქვენთვის“.

ობამა ასევე აღნიშნავს – „ეს ჩემი ბოლო არჩევნებია, არჩევნების შემდეგ მეტი მოქნილობა მექნება საკითხის გადაწყვეტისთვის“, რასაც მედვედევი პასუხობს – „დიახ, მე ამ ინფორმაციას ვლადიმერს გადავცემ“.

რუსულ მხარეს აღნიშნულ სკანდალთან დაკავშირებით კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

შეგახსენებთ, ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ჩატარებული გამოკითხვების შედეგად, „რესპუბლიკელების“ საპრეზიდენტო კანდიდატს მიტ რომნის მხოლოდ 10 %-ით უსწრებს.

უცხოური მედიის ცნობით, ამის შესახებ საუბარია საფოლკის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებში, რომელიც 21-25 მარტს ჩატარდა. აღნიშნული მონაცემების თანახმად, ობამას რეიტინგი 47 %-ს შეადგენს, მიტ რომნისა კი 37 %-ს.

ამასთან, ბარაკ ობამას მუშაობას პრეზიდენტის პოსტზე 46 % იწონებს, მაშინ როდესაც 45 % აცხადებს, რომ მისი პრეზიდენტობით უკმაყოფილო არიან. მთლიანობაში, ობამას მიმართ დადებითად არის განწყობილი გამოკითხულთა 52 %, რომნის მიმართ კი 38 %.

აღსანიშნავია, რომ ორი კვირის წინ „როიტერის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, ბარაკ ობამას მხარს გამოკითხულთა 53 % უჭერდა, მიტ რომნის კი 43 %.

ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნები 2012 წლის 6 ნოემბერს გაიმართება.

# ელისაბეტ მეორეს იუბილეზე ოისთერ ქარდი“ აჩუქეს

ბრიტანეთის დედოფალ ელისაბეტ მეორეს ლონდონის მერმა ბორის ჯონსონმა იუბილეზე „ოისთერ ქარდი“ აჩუქა. ეს ელექტრონული ბარათია, რომელიც საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისთვის არის საჭირო. ბარათზე თავად მონარქია გამოსახული. ის გაყიდვაში წელს მაისიდან გამოვა და ექსპერტთა ვარაუდით, იმის გამო, რომ მასზე დედოფალია გამოსახული, ელექტრონული ბარათების გაყიდვა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

ისე, როგორც ეს 2011 წელს მოხდა, როდესაც პრინც უილიამსის და ქეით მიდლტონის გამოსახულებით ელექტრონული ბილეთები გამოჩნდა.

ჯონსონი ბუკინჰემის სასახლეს ეწვია, როგორ ლონდონის ქალაქის კრების წარმომადგენელი. ლონდონის მერთან ერთად ბრიტანეთის დედოფალს სხვა ავტორიტეტული ბრიტანული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ეწვივნენ. მათ შორის ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტის წარგზავნილები.

მისი სამეფო უდიდებულესობა დედოფალი ელისაბედ მეორე უინძორი (დ. 21 აპრილი, 1926, ლონდონი) – დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მმართველი დედოფალი და სახელმწიფოს მეთაური, ტახტზე ავიდა 1952 წლის 6 თებერვალს, გვირგვინი დაიდგა 1953 წლის 2 ივნისს. ასევე თანამეგობრობის 15 სახელმწიფოს მეთაური (ავსტრალია, ანტიგუა და ბარბუდა, ბაჰამები, ბარბადოსი, ბელიზი, გრენადა, კანადა, ახალი ზელანდია, პაპუა-ახალი გვინეა, სენტ-ვინსენტი და გრენადინები, სენტ-კიტსი და ნევისი, სენტ-ლუსია, სოლომონის კუნძულები, ტუვალუ, იამაიკა), ანგლიკანური ეკლესიის მეთაური, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და კუნძული მენის ლორდი.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# TV პროგრამა

ხუთშაბათი
29 მარტი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00**, **16.00**, **20.00** მოამბე **12.45** დოკ. ფილმი **14.00** აღმოაჩინე საქართველო **14.30** დოკ. ფილმი **15.00** სერ. **"ზღვარს მიღმა"** **17.00** პირველი ტელევიზია **18.00** **ფეხბურთი**. საქ. ჩემპიონატი. ზესტაფონი-ტორპედო **21.00** სერ. **"ზღვარს მიღმა"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.00** სი ბემოლი **01.20** საფარი **01.50** მხ. ფილმი **"ნარშავი"** (18) (ჯ. ნიკოლსონი) **04.20** მხ. ფილმი **"სისხლი და ქვალი"** (15)

**08.00**, **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00**, **12.00**, **14.45**, **17.45**, **23.00** ბრიფინგის დროით **10.00**, **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** სერ. **"ხუთი და"** **20.00** მხ. ფილმი **"პოსეიდონის თავგადასავალი"** **01.00** მხ. ფილმი **"ავარია"**

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00**, **03.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.40** **100** გრადუსი (გან.) **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **00.00** ავტობიოგრაფია **01.00** მხ. ფილმი **"საქორწინო წვეულება"** (მ. დუგლასი) **03.10** მხ. ფილმი **"კასანდრას ოცნება"** (15) (ი. მაკგრეგორი) **05.15** მხ. ფილმი **"სამართლიანობისთვის მებრძოლი"** (12) (ს. სიგალი)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** კომედი შოუ **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ.**"მიყვარხარ ლოლა"** **19.50** სერ.**"ველური ყვავილი"** **22.00** პროფილი **23.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია"** **10.00** მხ. ფილმი **12.00**, **15.15**, **17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"ტაქსის მძღოლი"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** პულსი (გან.) **17.10** სერ. **"ველური მთვარე"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **21.00** სერ. **"ჯაშუში ქალი"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30**, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30**, **01.00** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"სიამაყე"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10**, **14.10**, **17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40**, **15.00**, **18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50**, **21.20** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **12.50**, **19.35** სერ. **15.15** სერ. **"სიამაყე"** **15.50** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **21.00** ზღაპრის კონა **23.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** განთიადი **10.35** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00**, **15.00**, **18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ადამიანთა სევდა"** **13.45** კონცერტი –მ. კვალიაშვილი **15.05** განთიადის სუტმარი **15.30** დოკ. ფილმი "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.55** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **16.20** მხ. ფილმი **"მაია წყნეთელი"** **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.20** დიდ ხარ შენ უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00**, **22.00**, **00.05** სიახლენი **19.15** მხ ფილმი **"ჩემი მეგობარი ნოდარი"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გამოყენებითი ხელოვნება **21.35** აქტუალური თემა **22.25** დოკ. ფილმი "მირონის შემზადების შესახებ" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება **23.30** შაბათის სახარების განმარტება **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კონცერტი – ლუჩანო პავაროტი

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 marti


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6678
ევრო —2,2122
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6518
რუსული რუბლი — 0,0561

**აღმოსავლეთ საქართველო:** მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1-5, ღამით — -4 -1
**დასავლეთ საქართველო:** წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2-4, ღამით — -3-0
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 0-3, ღამით — -5 -2

ამინდის პროგნოზი 29 მარტისთვის





# 28 მარტიდან

ჟურნალ „სარკესთან“

ერთად გაიყიდება პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები

110 სატესტო შეკითხვა

პროფესიული უნარები

ფასი ჟურნალთან ერთად 4 ლარი




# 28 მარტიდან

ექსკლუზიური გამოცემა

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“

22-ე ტომი

აინშტაინი

3!)) ობუკიბ4 იცღბც ბ3 ფღფვბფყსფ ,ბჯჰფაბტ,ბ7 ჰჯვტკსფნ ღბღბ hღფკბ ღფნჯღტც ვცჯაკბჯ გჯაბნბhფიბ7 ვტნყბტჰტ,ფცფ ღფ hეკნეჰფიბ8




უფპტსბ ლფ ობუყბ ტპსფლ * კფჰბ


## ასტროლოგიური პროგნოზი

·ღტკფვ უფბსღფკბცობყტს=

ეს დღე მშვიდად ჩაივლის

**ვერძი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** — თავს კრიტიკულად უყურებთ, დამშვიდდით, ზედმეტი არ მოგივიდეთ. **ტყუპები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **კირჩხიბი** — ყურადღების ცენტრში ყოფნა გსიამოვნებთ, საინტერესო სიტუაციაა. **ლომი** — ახალ ცხოვრებას იწყებთ, თავს კარგად გრძნობთ. **ქალწული** — დღეს თავის წარმოჩენას მოახერხებთ, თანაც საუკეთესო კუთხით. **სასწორი** — მეგობრები დაგეხმარებიან, სერიოზულ პრობლემას მოგიგვარებენ. **ღრიანკალი** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, მაგრამ მაინც ნუ გაფლანგავთ. **მშვილდოსანი** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **თხის რქა** — ნატვრას აისრულებთ, ძალიან ბედნიერი ხართ. **მერწყული** — ეს დღე მშვიდად ჩაივლის, განსაკუთრებული არაფერი მოხდება. **თევზები** — ნუ აზვიადებთ, საქმე არც ისე ცუდად არის.

უბცეჰღტ,ს ,ტღყბტჰ ღქტს=

## ჰ3ჯცღჯ3ღბ ფ

**შვეულად:** 1. ვახტანგ გორგასლის ვაჟიშვილი; 2. შავი ზღვის ძველბერძნული სახელწოდება; 3. თვალის ფერადი გარსი; 4. საარყე ტიკჭორა; 5. „დეკამერონის“ ავტორი; 6. იატაკზე დასაჯდომი ბალიში იაპონურ სახლებში; 8. წყალბადის იზოტოპი „მძიმე წყალი“; 10. ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინის კარპატებში; 11. ამერიკაში მოღვაწე ქართველი ბალეტმეისტერი; 14. მეტროს სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 15. ჰერალდიკაში მოკლე წარწერა გერბზე; 16. კლოუნის გამოსვლა, ნომერი ცირკში.

**თარაზულად:** 1. ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური საფრანგეთში; 4. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 7. ჩეხური წარმოშობის ავსტრიელი კომპოზიტორი, პიანისტი; 9. იტალიური ავტომობილი; 12. ერბოში მოხარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 13. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 14. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 17. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 18. ნივთიერება, რომელიც ელექტროობას არ ატარებს, იზოლატორი; 19. ჯიბის ქურდი; 20. ქალაქი კახეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

